

უკეთეს დროთათვის

როცა ოჯახში ავადმყოფია

ჩემი სურვილი იყო, ეს წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დამებეჭდა, ქართველი მწერლების გაზეთში. დარწმუნებული ვარ, მათი უმრავლესობა სწორად გაიგებს ჩემი გულისტკივილის ნამდვილ მიზეზს.

...საქართველო დიდი ხანია აღარ არის პროვინცია. მისი „საყდრული მყუდროება“ წარსულს ეკუთვნის და არ არსებობს ძალა, რომელსაც ამ სამუდამოდ დარღვეული იდილიის აღდგენა შეეძლოს. თანამედროვე ცივილიზაციის მრავალ თვალსაჩინო სიკეთესთან ერთად ჩვენს ყოფაში ზოგიერთი შემაშფოთებელი ტენდენციაც შემოიჭრა. ცხოვრება იერს იცვლის. შესაბამისად იცვლება ჩვენი ფსიქოლოგიაც. სულ უფრო იშვიათად შეხვდებით ჩვენში ნაციონალური კარჩაკეტილობისა ან პატრიარქალური რუტინისადმი ერთგულების ლეგალურ მედროშეებს.

სამაგიეროდ, ბევრ ჩვენთაგანში კიდევ ცოცხლობს პროვინციული ცრურწმენა, თითქოს ყველაფერი ჩვენს გარეშე, ჩვენთვის მიუღწეველ სფეროებში წყდებოდეს და არაფრით არ იყოს დამოკიდებული ჩვენს ნება-სურვილზე.

„ვინ არის, ბატონო, დამნაშავე?!“ – ამ სამარცხვინო, ლაჩართა გულის დასაამებელ სიტყვებს, საუბედუროდ, კიდევ შერჩა თავისი განმაიარალებელი ძალა...

რამდენიმე კვირის წინ თბილისის მთავარ ქუჩაზე, თითქმის უმიზეზო წალაპარაკების გამო, თანატოლებმა დანით მოკლეს ჩემი ამხანაგის ერთადერთი ვაჟიშვილი. დაკრძალვის დღეს სადაბრაზოში იდგა პატარა მაგიდა, სტუდენტი ბიჭები პანაშვიდზე მოსულთ მკვლელისთვის უმაღლესი სასჯელის მოთხოვნაზე აწერინებდნენ ხელს.

პანაშვიდზე აუარება ხალხი იყო. ზოგიერთი ვერ ხვდებოდა, რას მოითხოვდნენ მისგან მაგიდასთან ჩუმად მდგარი ბიჭები. მე მივხვდი... შევჩერდი კიდევაც, მაგრამ უეცრად რაღაც ძალამ დამხია უკან. ფრთხილად ავუარე გვერდი მაგიდას, რომელსაც ამ დროს რამდენიმე მამაკაცი შემოხვეოდა და ქურდივით გამოვიპარე სადარბაზოდან.

თავდახრილი მოვდიოდა ჭავჭავაძის ქუჩაზე... მოვდიოდი და თან მომდევდა ჩემი ამხანაგის გაკვირვებული თვალები, მისი უმწეო, უმისამართო საყვეური, უცნაური ღიმილით გადასერილი სახე.

იმ დღეებში თბილისში, მგონი, ქართული ჩაის კვირეული იყო. სალამოხანს აქა-იქ დანთებული ჭრელი რეკლამები სადღესასწაულო განწყობილებას ქმნიდნენ ქუჩებში.

იმ სალამოსაც მუშაობდა რადიო, ტელევიზორი, თბილისელები იკრიბებოდნენ კინო-თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, ახალი სპექტაკლის პრემიერაზე; მწერალთა კავშირში კრიტიკოსები გულმოდგინედ აჯამებდნენ შარშანდელ ლიტერატურულ პროდუქციას...

და არსად არც ერთი სიტყვა მომხდარის შესახებ...

თითქოს ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნად მომხდარიყო და ყველამ პირი შევკარით – რაღაც უფრო მაღალი, ბევრად უფრო დიდი და ღრმა მოსაზრების გამო, არც ერთი სიტყვა არ დაგვცდენოდა ამ უსიამოვნო ინციდენტის შესახებ.

აღბათ კიდევ დიდხანს მემახსოვრება ჩემი ამხანაგის სახე, ის საშინელი წუთი, როდესაც მის პირისპირ მდგარი ამაოდ ვცდილობდი ხმის ამოღებას.

უკანასკნელ დრომდე ჩვენ მხოლოდ კარგი ნაცნობები ვიყავით. მოულოდნელად, როდესაც ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, ერთი მეტად თბილი, გამამხნეველებელი სიტყვა მითხრა. მას შემდეგ სამუდამოდ დავალებული ვარ მისგან.

არ მეგონა, ასე სულმოკლე თუ აღმოვჩნდებოდი და ვერც მაშინ, ვერც მერე, როდესაც თბილისის ახალ სასაფლაოზე მოვკრავდი ხოლმე თვალს, ერთი უბრალო, ალერსიანი სიტყვითაც ვერ ვბედავდი ჩემი თანაგრძნობის გამოხატვას.

იქნებ მას შემდეგ, რაც იმ მაგიდას ქურდულად ავუარე გვერდი, ამის უფლებაც აღარ მაქვს?

ჩემო ძვირფასო ამხანაგო! დიდი ხანია ვფიქრობ შენზე, თითქმის ყოველ დღე, ყოველ საღამოს... ვიცი, ის ცეცხლი, რომელიც ახლა შენს გულში ტრიალებს, ვერაფრით განელდება. ვიცი, რომ ეს ახლა შენთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მაინც შენ, სწორედ შენ მინდა გითხრა:

ის ბიჭი, რომელსაც დახვრეტას მიუსჯიან, მარტო თვითონ როდია დამნაშავე?

არც მხოლოდ მისი მშობლები, არც მხოლოდ ის ხალხი, ვინც მას ზრდიდა, არც მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც მკვლელის დანა ვერ შეაჩერეს.

ეს მკვლელობა დიდი ხანია მზადდებოდა და ჩვენ ყველანი – მეც, შენც – დიდხანს, ძალიან დიდხანს გულგრილად შევყურებდით ამ საშინელ სამზადისს!..

ძალიან მიჭირს ამ წერილის წერა, რადგან არც ჟურნალისტი ვარ, არც პედაგოგი და არც მართლმსაჯულების მცოდნე.

ვიცი მხოლოდ, რომ რაღაც საშინელ ბოროტმოქმედებაში მიდევს წილი, და მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი არსებით პასუხისმგებელი ვარ ამის გამო.

ვიცი, რომ ზიზღის ღირსია ყველა, ვინც ამას სხვაგვარად ხსნის, რათა საკუთარი დანაშაული შეარბილოს, ვინც ყველაფერს მისგან დამოუკიდებელი ძალების მოქმედებით ამართლებს, რათა უფრო გულდამშვიდებით იწუნუნოს, სხვა გაამტყუნოს, სხვას გადააბრალოს თავისი სიმბდალე და უმწეობა.

მე კარგად ვიცნობ მონუნუნეთა თავმომწონე კასტის წარმომადგენლებს. ისინი ყველაფერს, თვით ბუნების მოვლენებსაც კი, ამ უნივერსალური წუნუნის მასალად იყენებენ.

მათ აღშფოთებას საზღარი არა აქვს, როცა საქმე რომელიმე პასუხისმგებელი პირის ან ორგანოს არასაკამრის ოპერატიულობას ეხება, ხოლო თვითონ პირველ განსაცდელთან შეჯახებისთანავე გასაქცევ ხვრელს ეძებენ. მონუნუნეთა ორდენის არაერთ ამაყ რაინდს ვიცნობ და, სამწუხაროდ, ისიც ვიცი, რომ ეს „დიდად პრინციპული“, „შეუწყნარებელი“ კაცუნა ბევრი ჩვენთაგანის სულშიც ზის, სადღაც სულის სიღრმეში მოკალათებულა და ბეჯითად აკეთებს თავის მხდალ საქმეს.

არა, არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს უფლება პილატესავით ხელდაბანილი გვეჩვენოს, როცა მის თვალწინ ბოროტება ხდება, რადგან საქმე ჩვენს შვილებს ეხება, ჩვენს მომავალს, ჩვენი ქვეყნის ხვალისდელ დღეს!

ყოველ ადამიანს თანდაყოლილი აქვს სულიერი წონასწორობის მოთხოვნილება.

ერთნი ყოველივეს იმ ოპტიმისტური აზრით აბათილებენ, რომ ეს მხოლოდ ქაფია, რომელიც თავისთაად ჩამოშორდება ჩვენი ცხოვრების მძლავრ მდინარებას.

დარბაისელნი ირონიულად შენიშნავენ, რომ რამდენიმე ათეული საუკუნის წინათაც ზოგიერთი პანიკურად განწყობილი მისანი არანაკლებ შემფოთებას გამოთქვამდა ახალი თაობის ზნეობისა და ყოფაქცევის გამო, თავმოყავრე მამაკაცები თავიანთ პრესტიჟზე ზრუნავენ („უმჯობესია, არავითარი კავშირი არ დაიჭირო ამ ლანირაკებთან, რაც არ უნდა გითხრან, გვერდი აუარე“...).

ოჯახის ერთგული მამები ერთადერთ ხსნას საკუთარი შვილების საიმედო იზოლაციაში ხედავენ.

„პატრიოტები“ სინანულით აღნიშნავენ, რომ ასეთი საბედისწერო შეტაკებები ჩვეულებრივ მხოლოდ თანამემამულეთა შორის ხდება.

ყველა თავისებურად რეაგირებს, თავისებურად იმშვიდებს თავს, ყველა ცდილობს თავისებურად მოიხადოს ხარკი, ბეჯითი გულწრფელობით გაიზიაროს სხვისი მწუხარება, რომ მერე ისევ თავის ყოველდღიურ საზრუნავს დაუბრუნდეს...

შთამომავლობისთვის ზრუნვა ბიოლოგიური ინსტინქტია, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად ადამიანური, რამდენად ჰუმანური ხასიათისაა ჩვენი წარმოდგენა ამ ზრუნვის შესახებ.

ზოგიერთი ვალმოხდილად გრძნობს თავს მემკვიდრეთა წინაშე, რადგან ყველაფერი მოიპოვა მათი მატერიალური კეთილდღეობისთვის – მანქანაც, ბინაც, აგარაკიც, საზღვარგარეთის საგზურებიც („ეჰ, ამათ მაინც ნახონ ცხოვრება“), ზოგი ამით საკუთარ ცოდვებსაც ამართლებს და ყველა საშუალება მისაღებად მიაჩნია, ოღონდ მისი პირმშო „არ დაიჩაგროს“.

მხვეჭელობა, ფუფუნების, იოლი ცხოვრების კულტი, ობივატელური სიყრუე ყველაფრისადმი, რაც პირადი კეთილდღეობის ინტერესებს სცილდება, „სხვის ომში“ ჩაურევლობის პოზიცია, ყველდღიური კომპრომისები საკუთარი სინდისის წინაშე, მოქალაქეობრივი გრძნობის გადაგვარება, ყალბს ადღეგრძელობის ტიპის დეკლარაციებში, რომლის მეოხებით საქვეყნოდ ცნობილი ბობოლეები „უმნიკვლო მამულიშვილებად“ ცხადდებიან, უტიფარი, თითქმის დაუფარავი შეუსაბამობა მაღალფარდოვან სიტყვებსა და მდაბალი ინტერესებით ნაკარნახევ საქმეებს შორის – აი, ის მანკიერებანი, რომლებიც „გადანაშთის“, „ფსიქოლოგიური ატავიზმისა“ თუ, სულ ერთია რა სახით, დღემდე მოქმედებენ ჩვენს ირგვლივ და თითოეული სავსებით საკმარისია, რათა ძირშივე დააზროს მოზარდი ადამიანის ბუნებრივი ლტოლვა იდეალისადმი. აი, ის ატმოსფერო, რომელიც ყოველ კერძო, „გამონაკლის“ შემთხვევაში ხელს უწყობდა ჩვენი ახალთაობის ამა თუ იმ წარმომადგენლის ზნეობრივ დაცემას.

ცხადია, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენი სინამდვილისა და ჩვენი ახალგაზრდობის მხოლოდ ერთ, შედარებით მცირერიცხოვან, ნაწილს ეხება. საქართველოს ხვალისდელ დღეს სრულიად სხვა კატეგორიის ადამიანები ქმნიან: უნიჭიერესი, უაღრესად განათლებული, უმაგალითოდ ფართო გონებრივი ჰორიზონტის ახალგაზრდები, რომლებიც კანონიერი სიამაყისა და იმედის გრძნობით გვივსებენ გულს.

მაგრამ მათ გვერდით არსებობს „გამონაკლისი“, არსებობენ „ერთეულები“ და ამ „ერთეულთა“ რიცხვი დღითი დღე იზრდება.

5 ივლისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ბუნებრივია კმაყოფილება, რომლითაც ქართული საზოგადოების წარმომადგენლები შეხვდნენ ამ დოკუმენტს. იმავე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა აკად. ა.შანიძის, აკად. ა.ზურაბაშვილის, თ.წერეთლისა და ბ.ბარათაშვილის წერილი: „ნარკომანიასთან ბრძოლა მთელი საზოგადოების საქმეა“.

მკვლელობა და ნარკომანია ფეხდაფეხ დადიან მთელს დღევანდელ სამყაროში. თითქმის ყოველდღე ვიტყობთ შემზარავ ამბებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის.

„ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიას არავითარი სოციალური საფუძველი არა აქვს“, – წერენ კოლექტიური წერილის ავტორები.

რა თქმა უნდა! მადლობა ღმერთს, ვერავინ უარყოფს, რომ ეს მხოლოდ გამონაკლისია, მხოლოდ და მხოლოდ! მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი გამონაკლისი, რომელიც ჩვენგან განცალკევებით კი არ არსებობს, არამედ თვით ჩვენი ცხოვრების შუაგულშია დაბუდებული. მისი მარცვლები მიმობნეულია თითქმის ყოველ ნაბიჯზე და უცნაური სისწრაფით იდგამს ფესვს.

დიახ, ეს მხოლოდ პატარა ბაცილაა, როგორც ამას წერილის ავტორები აღიშნავენ. მხოლოდ და მხოლოდ! მაგრამ მისი საბედისწერო მოქმედება უსათუთეს ორგანიზმს ემუქრება და ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვგრძნობთ, რა გადამდები ძალა ახლავს თან ამ ვერაგ მიკრობს.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მთელი ჩვენი საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნილების გამოხატულებაა. ხელისუფლების ორგანოები ამიერიდან მეტი სიფხიზლით წარმართავენ ბრძოლას ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ.

მაგრამ ეს გარემოება არც ერთ ჩვენგანს, ჩვენი საზოგადოების არც ერთ წევრს არ ათავისუფლებს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობისაგან.

მართლმსაჯულებას ბოროტმოქმედების შედეგთან აქვს საქმე. ჩვენთვის არსებითია მისი მიზეზი, ნიადაგი, რომელზეც მან გახარება შეძლო.

და აი, როგორც ყოველთვის, როცა შენს წინ ბოროტება და მის მიერ გათელილი უმწეო მსხვერპლი დგას, აუტანელი ტკივილით გრძნობ, რა სასტიკად, რა სამარცხვინოდ დააგვიანე, და თუ ეს ტკივილი მართლა აუტანელია, ასჯერ, ასიათასჯერ ეკითხები შენს თავს: როდის?! ჩაისახა ამ დიდთვალემა, ზედმინევნით თავაზიან, სასოებით მოვლილ ბიჭში ბოროტმოქმედი? როდის შეიპარა მის სულში ბინძური თათი იმ ურჩხულისა, რომელიც ახლა მთელ მის სხეულს დაჰპატრონებია? როდის განიცადა ამ პატარა, ჯერ კიდევ უძლურმა, სულმა მისი პირველი დამთრგუნველი დარტყმა?

სამწუხაროდ, მე არც სოციოლოგი ვარ და არც სტატისტიკოსთა დახმარებისთვის მიმიმართნია. ვიცი მხოლოდ, რომ დღეიდან რაღაც არსებითი ცვლილება უნდა მოხდეს, რაღაც მთავარი უნდა შეიცვალოს ჩვენს შეგნებაში. დღეიდან, რადგან ხვალ უკვე გამოუსწორებლად გვიან იქნება, ვიცი, რომ უჩვენოდ, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური, ყოველწამიერი ცდის გარეშე არაფერი შეიცვლება.

თბილისის ეკრანებზე სულ რამდენიმე დღეს გადიოდა ლ.ლოლობერიძის ფილმი „ფერისცვალება“. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სურათს კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო იხილავდა, გამოითქვა აზრი, რომ იგი ვერ მიაღწევდა პოპულარობას მაყურებელთა ფართო წრეებში.

ასეთი იყო ჩემი ვარაუდიც.

და მაინც, არ შემიძლია, გაკვირვებით არ აღვნიშნო ის უცნაური, თითქმის საყოველთაო, გულგრილობა, რომლითაც ჩვენი საზოგადოება შეხვდა ამ სურათს.

ფილმი თავისი შინაარსით დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების უმტკივნეულეს მოვლენასთან.

ეს არის უმტკივნეულესი და ამავე დროს მეტად რთული მოვლენა ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. „ფერისცვალებაში“ ეს მოვლენა დანახულია ქალის თვალთ, დანახულია მთელი სიმწვავით, როგორც სასტიკი, უადამიანო, დაუნდობელი ძალის გამოვლინება.

ჩვენ გველაპარაკებიან რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანის, საგანგაშოს შესახებ, გველაპარაკებიან ისე, როგორც ამაზე ჩვეულებრივ ქალები ლაპარაკობენ: პირდაპირ, ალელვებით, სასოწარკვეთილი ინტონაციით, დაუყოვნებელი პასუხის იმედით, ჩვენ კი გულგრილად შევყურებთ ეკრანს...

ჟურნალმა „სციკარმა“ თავის მეშვიდე ნომერში გამოაქვეყნა ლაშა თაბუკაშვილის პირველი მოთხრობა „მოკლეს ბიჭი“. მე არ მიკვირს, რომ ახალგაზრდა მწერალმა თავისი ლიტერატურული დებიუტისთვის ეს მწვავე თემა აირჩია, თუ აქ საერთოდ რაიმე არჩევანს ჰქონდა ადგილი. მწერალი წერს იმაზე, რაც მას ყველაზე მეტად აწუხებს და რის გამოც გაჩუმება არ შეუძლია.

რომ ეს სწორედ ამგვარი წუხილია, ამას განსაკუთრებით ნათლად მოთხრობის უკანასკნელი სტრიქონები მოწმობენ:

„...აბლავლდნენ ბიჭები, ერთმენეთს გადაეხვივნენ და წრე შეჰკრეს კუბოს გარშემო.

მათ შემხედვარე მოხუცს ითქოს იმედით აევსო თვალები, მაგრამ ის უცებ მიხვდა იმ წამიერ ალტკინებას.

მოხუცი შიშობდა, რომ ხვალ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა, ეექვებოდა, რომ რაიმე შეიცვლებოდა ამ ცერმლებით.

საჭირო იყო, ალბათ, რაღაც სხვა, მაგრამ რა იყო საჭირო, არ იცოდნენ არც ტალახში დაჩოქილმა მოხუცმა და არც ატირებულმა, დაბნეულმა ბიჭებმა“.

მე არ ვეკუთვნი იმ ბედნიერი ნიჭის ადამიანთა რიგს, რომელთაც ყოველთვის მზადა აქვთ მორიგი აფორიზმი, რათა თავიანთ უმცროს მეგობრების ცხოვრების ყველა საკრამენტულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიაგებონ. არა მგონია, მოთხრობის ავტორი და მისი გმირები ასეთ პასუხს მოელოდნენ ჩვენგან.

ლმობიერების ნიჭი თითქმის ყოველთვის ნაგულისხმები იყო ქართველი კაცის ბუნებაში. ამ თვისებას აკვნიდანვე უღვივებდნენ ძველ ივერიელთ.

სულის სიჩვილე, რაინდული სულგრძელობა განუყრელად თან სდევდა ჩვენს მრავალტანჯულ, მრავალჭირნახულ ქართველ ხალხს.

რამ გააავა ეს პატარა, ნებიერი ბიჭები?

ისინი ხომ დედაქალაქის სათბურებში გაზარდეს, ალერსით, ფრთხილად, დაყვავებით...

ვინ ასწავლა მათ სისასტიკის ველური ენა? ვისკენ არის მიმართული შურისძიების ეს მწვავე, მათრობელი ჟინი? რა ბალღამი ჩაეკირა მათ შემფოთებულ სულს?

...აი, ისინი მეგობრის ახლად გათხრილ საფლავთან დგანან. ვინროა მათი წრე. ცხადია, ისინი ახალგაზრდობის მხოლოდ ერთ, შედარებით მცირერიცხოვან, ნაწილს წარმოადგენენ. სხვები მათ არ ჰგვანან. შეიძლება არც კი ესმით მათი.

ისინი კი მწარედ ფიქრობენ...

მე მინდა, მათი ფიქრით განვიმსჭვალო, მათთან ერთად დავფიქრდე, ასევე მწარედ, ასევე მტკივნეულად. მთავარია, არ ავჩქარდე ჩემს ფიქრში, რადგან ისინი პასუხზე მეტად სხვა რამეს მოელონ ჩვენგან.

ახალგაზრდობა ბრძნულ შეგონებებს ვერ იტანს. მას სჭირდება მაგალითი, მსხვერპლი, გმირობა, რომელიც მის სულს შესძრავს და თავისი გზით გაიყოლიებს.

და რადგან ეს დასაბამიდან ასე იყო და ახლაც ასეა, ყველაფერი ჩვენგან მოდის, არა აბსტრაქტულ ნიმუშებზე, არამედ ჩვენზე – ჩვენი ცხოვრების წესზეა დამოკიდებული.

ახალგაზრდობა ინსტინქტურად ეწინააღმდეგება უსულო ფეტიშებს, მაგრამ მას შთაგონების გარეშე არსებობა არ შეუძლია და როგორც კი ჩვენ, ნებით თუ უნებლიედ, ხელვეყოფთ მის შეგნებაში იდეალის თანდაყოლილ მოთხოვნილებას, ის შურისძიების გრძნობით იმსჭვალება და თვითონვე დაუნდობლად ამსხვრევს ყველა ჯებირს, ყველა ბარიერს, რაც მას ადრე კთილგონიერების მოსაბეზრებლად სწორ და ვინრო კალაპოტში აკავებდა.

ახალგაზრდობის მსჯავრი უშელავათოა და, როდესაც ჩვენ მას მაღალი ზნეობის პრინციპებს ვუქადაგებთ, თუ ეს სიტყვები საქმით არ არის დადასტურებული, ან იქვე სხვა სიტყვებით ბათილდება, მას ეჭვი შეაქვს არა მხოლოდ ჩვენს ზნეობრივ პრინციპებში, არამედ, საერთოდ, ამ პრინციპების ჭეშმარიტ ღირებულებაში.

როდესაც ახალგაზრდა, უმწიფარ სულში ეჭვის სასონარმკვეთი სუსხი შეიჭრება, რომანტიკულ გატაცებებს ადვილად ცვლის ცხოველური ეგოიზმი, ჭაბუკურ რწმენას – ნაადრევი ირონია, ხოლო შემოქმედების ნყურვილს – წვრილმან ვნებათა დაოკების სურვილი.

გადის დრო და გუშინდელი მეოცნების, მოგზაურის, კეთილშობილი რაინდის სასთუმალთან, რომლის ქვეშ ჯერ კიდევ გუშინ პირველი ლექსი ან ქალაქის გარეუბანში ნაპოვნი „პრეისტორიული ცხოველის“ მაღა ინახებოდა, ამ პატარა, ათასი მოუწესრიგებელი ფიქრით, ათასი ოცნებით, სიყვარულის პირველი

ცრემლებით გამთბარ სასთუმალთან – ყმანვილური სიზმრების ნაცვლად, სხვა, ავისმეტყველი ფანტომები იყრიან თავს.

საწერი მაგიდის უჯრაში საიდუმლო სანახს სამუდამოდ ტოვებს საყვარელი მწერლის ტომი და მის ადგილს უცხოური მარკის იარაღი ან მორფის ამპულები იკავებენ.

სამყარო, რომელიც ოთხივ მხრივ უსასრულოდ იყო გაშლილი და თავის დიდ გზებზე უხმობდა თავგადასავალთა მომავალ მაძიებელს, მოულოდნელად ვინროვდება.

კონიაკი, მაგნიტოფონის მონოტონური ხმა, რომელიც ნახევრად ჩაბნელებული ოთახის სიღრმიდან იღვრება და უსულო ფიტულებივით ატორტმანებს მოცეკვავეთა ლანდებს, ალკოჰოლით განელებული ყინი, უაზრო პაექრობა, სტერეოტიპული ფრაზები და მანერები, ჩვეულებრივ თუთუნში არეული ფხვიერი ნარკოტიკის მოცისფრო კვამლი – ყველაფერი რაღაც უსაგნო, იდეალურ ატმოსფეროს ქმნის ირგვლივ, ყველაფერი ირკვევა, კარგავს თავის ჩვეულ კონტურებს, საყრდენს, წონას, აზრს...

...და აი, ისინი ზანტად ტოვებენ ნაცნობი გოგონას მყუდრო ოთახს. მათ წინ ხალხით სავსე, ხმაურიანი ქუჩაა და ამ ქუჩაში მთვარეულებივით მიაბიჯებენ სასაცილოდ ტანაყრილი, ფერმკრთალი ბიჭები, მათ შეთქმულთა გამომწვევი სახეები აქვთ, რადგან ქუჩა სავსეა უცხო, აბეზარი ხალხით. რადგან ქუჩაში მხოლოდ „მტრებია“, მხოლოდ „მოქიშპეები“ და ერთ-ერთ ბიჭს, რომელიც შეთქმულთა ავანგარდში მიდის, გახუნებულ ჯინსის შიდა ჯიბეში დაბადების დღეზე საჩუქრად მიღებული ინკრუსტირებულვადიანი სანადირო დანა უდევს.

ცბიერი შხამით ამღვრეული ახალგაზრდა სისხლი დაჟინებით მოითხოვს თავისას და საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ ეს მოჩვენებითი სიზანტე ბრმა ენერჯის საბედისწერო აფეთქებად იქცეს...

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას არასოდეს არ ჰყოლია იმდენი ოფიციალური მერუვე, რამდენიც დღეს ჰყავს.

არსად, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ იხარჯება იმდენი თანხა, რამდენსაც ჩვენი სახელმწიფო ხარჯავს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლებისთვის. ვერავინ ვერ უარყოფს ამ სისტემატიურ მეურვეობის თვალსაჩინო შედეგს.

ის, რაზეც ჩვენს წინამორბედთ მხოლოდ ოცნება შეეძლოთ, დღეს ჩვენს თვალწინ სახელმწიფოებრივი კანონით განმტკიცებულ რეალობად იქცა.

დღევანდელ საქართველოში ვერსად შეხვდებით წერაკითხვის უცოდინარ ახალგაზრდა კაცს.

„Грузия – страна сплошной грамотности“ – ეს სიტყვები წერია ყველა საბჭოურ ენციკლოპედიაში, ყველა ცნობარში. ეს არის ჩვენი კანონიერი სიამაყის საგანი.

მაგრამ განა ბევრმა ჩვენთაგანმა იცის, რა ხდება ჩვენს სასწავლებლებში, რა ხდება გაკვეთილებზე ან შესვენების დროს. რა ხდება დერეფნებში, ან მაშინ, როდესაც უფროსი კლასების მოწაფეები მეცადინეობის შემდეგ ერთად იყრიან თავს?

როგორ მიმართულებას იღებს მათი ინსტინქტური სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რა ფორმით მჟღავნდება ამ ასაკისთვის ბუნებრივი თვითდამკვიდრების სურვილი?

საქართველოში ახლა რამდენიმე ათასი პირველდანიეებითი, საშუალო და სპეციალური სასწავლებელია.

ულრმესი პატივისცემის ღირსია ყველა, ვინც თავისი ცხოვრება მოზარდი თაობის აღზრდას და განათლებას უძღვნა. სიტყვიერად ამას ყველა აღიარებს.

მაგრამ, განა დასამალია, რომ დღევანდელ საქართველოში, თითქმის ყოველი მეტ-ნაკლებად პერსპექტიული, უმაღლესგანათლებამიღებული ახალგაზრდა სულის სიღრმეში ზიზღით არის გამსჭვალული მასწავლებლობისადმი და სხვა, უფრო „საპატიო“, ან სარფიან ასპარეზე ოცნეობს.

სულ უფრო იშვიათად გვხვდებიან ჩვენს თანამემამულეთა შორის ადამიანები, რომელთაც თავიანთი მდიდარი ერუდიცია და ტალანტი ამ მაღალ სამსხვერპლოზე მისატანად ემეტებოდეთ.

ცხადია, აქ თანდაყოლილ ნიჭს და მონოდებასაც აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ადამიანის უპირველესი მონოდება ხომ მომავლის შენებაა?!

ნურავინ იფიქრებს, თითქოს უდაბნოში მლაღადებლის უბადრუკ როლს ვიჩემებდე. არც საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვდგები. ასეთი არც განზრახვა მაქვს და არც სათანადო დამსახურება.

ჩემი სურვილი იყო, ეს წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დამებეჭდა, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ჩემს კოლეგებს, ქართველ მწერლებს მინდა, მივმართო.

როდესაც ოჯახში ავადმყოფია (რა გინდ დიდი და ძლიერიც უნდა იყოს შენი სახელი), არავის, ოჯახის არც ერთ წევრს, აღარ აქვს უზრუნველობის უფლება.

არ არსებობს ხელოვნების სასწაული, რომელიც თავისთავად უფრო მეტს ნიშნავდეს, ვიდრე, თუნდაც ერთი ცოცხალი არსების, ერთი სიცოცხლის გადარჩენა.

სახელი, გვირგვინები, ოვაციები ყოველი მოკვდავის გულს ესალბუნება. მაგრამ დღეს ყველა ჩვენგანმა სამუდამოდ უნდა ჩაიკლას გულში ზერელე პატივმოყვარეობის მაცდური ხმა, სამუდამოდ უნდა დავაგდოთ ის გზა, რომელსაც მწერალი ახალგაზრდობასთან მხოლოდ ტაშისთვის მიჰყავს, რდესაც ღრმა სავარძელში ნეტარებით სულგანაბული მგოსანი სინდისის უქენჯნელად ისმენს თავისი „უმცროსი მეგობრების“ უზომოდ გაზვიადებულ, ცრუმადლიერებით აღსავსე ქათინაურებს.

თუ გიფიქრიათ, რა ხდება მოზარდი ადამიანის ახლად გაღვიძებულ შეგნებაში, როდესაც მას, ამ სახელდახელოდ გაზეპირებულ, არაბავშვურ სიტყვებს ალაპარაკებენ? რა მძიმე კრზისს განიცდის მისი ფსიქიკა, ბუნებრივი ლტოლვა სიმართლისადმი, მისი ბავშვური წარმოდგენები ადამიანურ ღირსებაზე, გონიერებაზე, თავმდაბლობაზე!

ნორმალური ადამიანის ყურისთივს ყველაფერი ყალბი აუტანლად ჟღერს. სიყალბე, რომელიც ბავშვის ენით მეტყველებს, შემზარავია!

არ არსებობს პატიება მათთვის, ვინც ჩვენს ბავშვებს სკოლის მერხიდანვე ამ ფარისევლურ ცრუმეტყველებას აჩვევს, ვინც შეგნებულად, ან მიუტყევებელი ფუქსავატობით ხელს უწყობს მათი გონების გამრუდებას, უგუნურებასთან, აშკარა სიცრუესთან ძალდატანებით შეგუებას, ვიც ამით ძირშივე სპობს იმას, რასაც ადამიანის სულიერი სიფაქიზე და ზნეობა უნდა დაეფუძნოს.

სამწუხაროდ, ბევრ ჩვენთაგანს ბოლომდე არ ესმის იმ ნდობის ფასი, რომლითაც იგი სახელნიფომ და მშობელმა ხალხმა აღჭურვა.

მწერალი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდება, იგი პასუხისმგებელია ყველაფრის გამო, რისი გაკეთებაც შეეძლო და რაზეც პროფესიული ქედმაღლობისა თუ ჩვეულებრივი სიმხდალის მიზეზით ხელის გასვრა არ იწება.

ქართველი მწერლობა არასოდეს არ ყოფილა გულგრილი ეროვნული განსაცდელის მიმართ და, თუ ამას საქმე მოითხოვდა, მისი ღირსეული წარმომადგენლები უბრალო, „დღიური მუშის“ მძიმე ტვირთსაც არ თაკილობდნენ.

დღეს, მთელი ჩვენი საზოგადოების წინაშე, ასეთი გადაუდებელი ამოცანა დგას და არ არსებობს სხვა მიზანი, სხვა საქმე, რომელიც ამ საზურნავზე უარის თქმას ან ოდნავ დაუდევრობას ამართლებდეს.

არ არსებობს გამართლება, რომლის გამო ჩვენ ეს სამარცხვინო გულგრილობა გვეპატიოს!

1969 წ.

უკეთეს დროათვის

უჩვეულოდ დაძაბული დღეები იდგა საქართველოში ათას ცხრაას სამოცდაცამეტ წელს. საგნებმა თითქოს იერი იცვალეს. ის, რაც ერთხელ და სამუდამოდ ლუზარაშვებული გვეგონა, მოულოდნელად მოწყდა ადგილს და მოძრაობის, ცვალებადობის უმძლავრეს ნაკადში მოექცა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. იცვლება შეხედულებებიც, ზოგიერთი, წლების მანძილზე შემუშავებული ჩვევა თვალდახელშეუა შემოგვემსხვრა. წარმოდგენათა მთელი რიგი თავდაყირაა დაყენებული...

ადამიანურ მხედველობას ერთი ხარვეზი აქვს: ის ადვილად ეჩვევა იმ საგნებს, რომლებიც გამუდმებით გარს არტყია, იმდენად, რომ გარკვეული მომენტიდან ველარც ამჩნევს მათ არსებობას.

ასე შეურიგდა თვალი წლების მანძილზე ბევრ უცნაურბას, რომელთა წარმოშობა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფიერებაში წესით, ისტორიული ლოგიკის ყველა მონაცემის თანახმად – გაუმართლებელ ანაქრონიზმად, ან ამკარა უაზრობად უნდა მოგვეჩვენებოდა. არა მხოლოდ იმას, რაც წინაპართა მიერ სათუთად მოვლილ რელიეფს დააჩნდა უტიფარ სიმახინჯედ, არამედ იმ არანაკლებ მახინჯე წამონაზარდებსაც, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში და ურთიერთობაში აღმოცენდა.

ასე შევეჩვიეთ უცნაურ კონტრასტებს თანამოქალაქეთა გამომეტყველებაში – ორი თანასწორუფლებიანი მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულებაში, აზროვნებისა და მეტყველების მანერაში (ზოგჯერ ხმის ტემბრშიც კი), იმის მიხედვით, თუ რომელი სად „იჯდა“, მისაღები კაბინეტის სიღრმეში თუ მოსაცდელ დერეფანში, პრეზიდენტში თუ ქანდარაზე, საკუთარი მანქანის საჭესთან (ან შტატიტ რგებულ მძღოლის გვერდით) თუ ჩვეულებრივ „მუნიციპალურ“ ტრანსპორტში, საბანკეტო დარბაზის ქათქათა სუფრასთან თუ მუშათა სასააღილოს ბინდ-ბუნდში.

ასე აღარ გიკვირდა, როცა შენი ძველი ნაცნობი, რომელთან ერთადაც ოდესღაც ხელიხელგადახვეულს ჩაგივლია რუსთაველზე, ერთ მშვენიერ დღეს მგელივით კისერგაშემებული, სამუდამოდ გაყინული სახით (შავი ლიმუზინის ჩარჩოში) ისე ჩაისრიალებდა ამავე ტროტუარის გასწვრივ, თითქოს შენს გვერდით თვითონ კი არა, მისი სამგლოვიაროდ შავარშიაშემოვლებული სურათი ჩაეტარებინოთ.

ასე მშვიდად ვუვლიდით გვერდს ჩვენს გარშემო აღმოცენებულ ამკარა უგულობის, გუნურების, უზნეობის არაერთ გამოვლინებას.

ასე შეუთვისდა თვალი უხამსობისა და უდრტვინველობის, თვითნებობისა და თვინიერების, ფუფუნებისა და ხელმოკლეობის უცნაურ თანამეზობლობასაც.

დადგა ისეთი დღე, როდესაც ჩვენს მზერას პირველი ხილვის სიცხადე უნდა დაბრუნებოდა...

მწერლობა ზოგს დიდი სანარმოს „დამხმარე მეურნეობად“ წარმოუდგება. ასეთი აზრი გაუგებრობის ნაყოფია, ვინაიდან ნამდვილი ლიტერატურა თვითონ არის ადამიანური წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა – საზოგადოებისთვის ფასდაუდებელ სულიერ ღირებულებათა მწარმოებელი. მისი განვითარების პროცესი კამპანიებს არ ექვემდებარება, „ხვნა“ და „თესვა“ აქ, სხვა, საკუთრივ ლიტერატურული განრიგით მიმდინარეობს.

მაგრამ მწერალს თხუნელასავით სოროში ცოხვრების უფლება არ აქვს. ის იქ უნდა იდგეს დღენიადაგ, სადაც რწმენის სახნისი ცრურწმენათა ყამირს ებრძვის – სწორედ იქ, სადაც ახალი ხნული ჩნდება, – რათა კვალი არ გამრუდდეს.

განსაკუთრებით იზრდება მწერლის პასუხისმგებლობა, როდესაც დრო ახალ კითხვებს სვამს, ახალი აზრები, ახალი იდეები შემოაქვს ადამიანთა შეგნებაში. საზოგადოების ახალ ზრახვებს დროის მოთხოვნილება განსაზღვრავს.

მაგრამ იდეა თავისთავად არ ვითარდება. ის ფხიზელ მეურვეობას და თბილ ხელებს მოითხოვს. თუ ახალ იდეას დროზე ხელი არ შევაშველეთ, ის შეიძლება ცალმხრივ წარიმართოს, უკიდურესობის სახე მიიღოს, დამახინჯდეს. სალი იდეის პროფანირება გამორიცხული არ არის იმ გარემოში, სადაც საზოგადოებრივი აზრი (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) თვლემს, ხოლო მქადაგებლის კათედრას შემთხვევითი პირები ეპოტინებიან. ასეთი შემთხვევები ყველას გვახსოვს ჩვენი ახლო წარსულიდან, როდესაც, სულხან-საბა ორბელიანის გახუცესებული მელიის მსგავსად, ზოგიერთი საქვეყნოდ ცნობილი მტაცებელი სულიერი მოძღვრისა და სჯულმდებლის კვერთხით გვეცხადებოდა.

მწერლის სუფთა, შრომით განვრთნილი ხელი სწორედ მაშინ არის საჭირო, როცა იდეა ფეთქავს და ყალიბდება, – მისი საგნად ქცევის, ცხოვრებასთან შენივთების მომენტში. განსაგნებული იდეით ტკბობა, ისე როგორც მისი არასრულქმნილი ფორმების გამო ბუზღუნი, მომხმარებელთა ხვედრია.

ძნელია გულგრილი დარჩე განახლებს იმ მძლავრი ნაკადის მიმართ, ჩვენ თვალწინ რომ წარიმართა უკანასკნელ დროს. საყოველთაო განახლება რესპუბლიკის ეკონომიკაში, ადმინისტრაციულ აპარატში, წარმოების თითქმის ყველა უბანზე – ამ პროცესის კანონზომიერი შედეგია.

მაგრამ მთავარი მაინც ის განსაზღვრულია, რომელიც ადამიანთა შეგნებამ უნდა გაიაროს. ახალი სამყაროს შენება მხოლოდ სუფთა ხელებს, მხოლოდ აუმიღვრეველ გონებას და სიკეთის რწმენით გასპეტაკებულ მგზნებარე გულებს ძალუძთ. მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ამ საფასურით შეიძლება იმის მიღწევა, რასაც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კ.მარქსი „თავისუფლების ჭეშმარიტ საუფლოს“ უწოდებდა და რაც, მისივე სიტყვით, ისტორიის ერთადერთი „თვითმიზანია“.

ადამიანთა შინაგანი იერის ძირფესვიანი გარდაქმნის ამ პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ყველა იმ ნაცად საშუალებას, რაც კი კაცობრიობას თავის სულიერ არსენალში მოეპოვება.

არსებობს ცნებები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟღერადობას იძენენ და მაინც, მათი დედააზრი ყველა დროისათვის ერთნაირად აქტუალურია. ამბობენ, მაგალითად: „ელინელის სულიერი ნყოფა“, „ესპანელის ბუნება“, „რუსული ხასიათი“ და სხვ. ამ სიტყვებში ზოგჯერ მეტაფიზიკურ აზრს დებენ. ცნობილია ფაქტები, როცა ისინი ფანატიკური ვნებების გასაღვივებლად გამოუყენებიათ. მაგრამ ადამიანთა უდიდესი ნაწილის ლექსიკონში ისინი, როგორც წესი, იდეალურ მისწრაფებებს აღნიშნავენ.

ყველა ერის წარმომადგენელი თავისი ერის ხასიათში, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანურობის სრულქმნილ გამოვლინებას გულისხმობს. როდესაც, მაგალითად, ქართველი კაცი „ქართულ სულზე“ ლაპარაკობს, მას, პირველ რიგში, რაინდული დიდსულოვნება, უანგარო ხასიათი და სიკეთის შეუპოვარი რწმენა აქვს მხედველობაში. ამ შეგნებას საუკუნეები ასაზრდოებენ.

მაგრამ ქართველობის წინააღმდეგ ბევრიც იმუშავეს... მთავარ იარაღს, ქართული სულის მოსაკლავად, სულმოკლეობაში ხედავდნენ, ვინაიდან სულმოკლეობა, გულნამცეცობა, ორგულობა ნიშნავს არა მხოლოდ თავისიანთა, არამედ საკუთარი ბუნების ღალატსაც.

სწორედ ამ იარაღით მრავალჯერ სცადეს ჩვენი ზნეობრივი საყრდენების შერყევა. სწორედ ამ ხერხს მიმართეს ხალხის რწმენის დასართეუნავად ახალი საუკუნის მეშვიდე წელიწადსაც.

საბედნიეროდ, მისი დამხოვა შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ ერთეულთათვის მტრის ამ ხანგრძლივ მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. და აი, გამომუშავდა ტიპი, რომელიც ყველაფრისთვის მზად არის, ყველაფერს ხელს მოანერს, ყველაფერს იკადრებს, ქვემძრომივით ხოხვასაც კი ისწავლის, ოღონდ

როგორმე მიწის ზედაპირს შერჩეს. ასეთ „ტიპს“ უზენაეს ნეტარებას იმის წაბილწვა ჰგვრის, რაც მის თანამოდმეთა წმინდა სიყვარულის საგანია. მისი ერთადერთი ვნება წვრილმანი პატივმოყვარეობაა და ესეც მხოლოდ ჰეროსტრატეს კომპლექსში – ნგრევის დაუოკებელ წადილში მუდავნდება, რადგან თვითონ მას არავითარი პოზიტიური ფასეულობის შექმნა არ ძალუძს.

ასეთი ტიპის „გადარწმუნება“ თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან მას საერთოდ არავითარი რწმენა არ გააჩნია, ამიტომ არის, რომ ნებისმიერ ხატზე შეუძლია ილოცოს, ეშმაკსაც და ანგელოზსაც ერთნაირი ხალისით დაუდგება მოჯამაგირედ. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მისი კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიჭი: სწორედ ამ ღვთისგარეგან სუბიექტს ხელეწიფება ყველაზე უკეთ ნებისმიერი სალი, ნათელი იდეის ჩვეულებრივ უხამსობამდე დაყვანა.

გამოუსწორებელი შეცომა იქნებოდა, თუ ჩვენი რწმენის მაღალ დროშებს, დღეს რომ ყოველი მხრიდან აფრიალებდნენ, ერთი ნუთით მაინც გავიმეტებდით – ერთი ნუთით მაინც დავუშვებდით, რომ მას ვისიმე უსუფთაო ხელი შეეხოს.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ ახალ შემართებას, მოვლენათა განვითარების იმ მთავარ ხაზს, რაც ჩვენს ცოვრებას დააჩნდა, დღევანდელი საქართველოს სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ინტელიგენცია უჭერს მხარს. მხედველობაში მაქვს წრფელი, სათანადო სიღრმით გაცნობიერებული მხარდაჭერა და არა ზერელე ლოიალობის ყბადაღებული ნიშნები.

ქართველი ინტელიგენტი ხშირად ყოფილა მშვიდი. უსახსრობა, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე მთელი გასული საუკუნის მანძილზე აჩრდილივით თან სდევდა მის არსებობას, მაგრამ ამის გამო ის არც სულიერად დაცემულა და არც ბალღამი ჩაქცევია სისხლში. პირიქით, ყოველივე ამან მის შეგნებას ზოგიერთი მყარი თვისებაც შესძინა. სხვათა შორის იმის გამოც, რომ ასეთი მდგომარეობა მას საზოგადოების მშობელ ნაწილთან, „კისერჟანგიანთა“ ნამუსიან მოდგომასთან აკავშირებდა. თავისი ფსიქოლოგიით ის სწორედ ამ ქედღიერ მოდგომას ეკუთვნოდა ყოველთვის.

საბჭოურმა ყოფამ ახალი პერსპექტივა გაუხსნა ამ ფენის წარმომადგენლებს, მნიშვნელოვნად შეცვალა მისი არსებობის მატერიალური პირობებიც და შემოქმედების შინაარსიც, მაგრამ გარკვეულ მომენტში მას ახალ ცდუნებათა პირისპირ დადგომაც მოუხდა.

ქართულ სინამდვილეში მოხდა იშვიათი (თუმცა არა უპრეცედენტო) ფაქტი: საზოგადოების სულიერი აღზრდისა და აღზევებისათვის მონოდებულ ადამიანთა რიგებს შეერივნენ პიროვნებები, რომელთაც პირადი წარმატებისა და მატერიალური კეთილმოწყობის კერპი თავიანთ მთავარ ღვთაებად აღიარეს.

„ანტიინტელიგენტმა“ შეძლო მისთვის სანუკვარ სფეროში შეღწევა და ფაქიზი მასალის შიგნიდან გამოღრღნა მოინდომა.

საბედნიეროდ, ესეც მხოლოდ ერთეულებს ეხება. ქართველი ინტელიგენციის სალი ნაწილი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყნის სამსახური ნამდვილ მსხვერპლს და უანგარობას მოითხოვდა.

ინტელიგენტური ფსიქოლოგიის გატეხვა არც ისე ადვილია, როგორც ამას მისი აბუჩად აგდებისა და გზიდან ჩამოცილების მონადინენი ფიქრობენ. მისი შინაგანი სიფაქიზე და მგრძობიარობა მართლა „მერყეობის“ ნიშანი როდია, არც თავმდაბლობა და აღზრდით შეძენილი თავაზიანობის ნიჭი ნიშნავს „უხერხემლობას“. თავისი ბუნებით და მონდებით ის ყოველთვის იყო და რჩება სულიერი უხამსობის შეურიგებელ ანტიპოდად, მის ფხიზელ, დაუძინებელ მონინააღმდეგედ.

იმ ქუჩაზე, სადაც ერთი ნამდვილი ინტელიგენტი მაინც ცხოვრობს, დემაგოგია ყელმოღერებული ველარ გაივლის...

წელიწადი შეემატა საქართველოს მატრიანეს. მისი ნამდვილ მნიშვნელობას მხოლოდ მომავალი ჟამთააღმწერლნი გაარკვევენ ყოველმხრივ.

ერთი რამ დღესაც ცხადია: დიდი ხანია ქართველი ხალხის შემოქმედი ძალები, მისი ნება და ენერჯია ასეთი ერთსულოვანი მზადყოფნის ტალღაზე არ შეტყორცნილა.

სადაც არ გახვალ, სადაც არ უნდა შეიარო, ყველგან რაღაც უჩვეულო სამზადისია, ყველგან ბჭობენ, დაობენ, გეგმავენ, ხვალინდელ და ზეგინდელ საზრუნავზე თათბირობენ.

პარტიული კრიტიკის ტრიბუნიდან უკანასკნელ დროს მკაცრად გაისმა შეუწყნარებელი სიტყვა „გესლიანი და გულღრძო ადამიანების“ შესახებ.

„უღმობლად უნდა ვებრძოლოთ, – მოგვინოდებს ერთი ამ დოკუმენტთაგანი, რომელიც „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, – ცილისმწამებლებს, ვინაიდან ამ კატეგორიის ადამიანებს არაფრად უღირთ შებღალონ ყოველივე წმინდა, ყოველივე ამაღლებული ადამიანში, შეურაცხჰყონ იგი“.

ცილისწამება, ჩვეულებრივ, ანონიმის ნიღაბს ეფარება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა იგი (სხვათა დაუდევრობისა, თუ გულგრილობის გამო) საკმაოდ ფართო გასაქანს პოულობს. ასეთ განწყობილებათა მღვრიე ნაკადი ზოგჯერ პრესაშიც გაჟონავს ხოლმე. ლეგალური ცილისმწამებელი, როგორც წესი, პირუთვნელი მსჯავრდებლის მანტიით გვევლინება. ხდება ისეც, რომ თავისთავად სწორ, კრიტიკულ წერილში გულისდამწყვეტი ინტონაცია შეიპარება. სხვა შემთხვევაში ცილისმწამებლური პათოსი ქვეტექსტშია დამალული.

კრიტიკის ყოველ ასეთ ნიმუშს საკუთარი ნაირსახეობა გააჩნია და სპეციალურ გაშიფვრას მოითხოვს. მე მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შინაგან მექანიკას შევხები.

უკანასკნელ თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ჩვენს ლიტერატურულ წრეებში რამდენიმე ლეგენდა წარმოიშვა. ასეთი შეთხზული პრობლემის ქრესტომათიულ მაგალითად დარჩება ქართული კრიტიკის ისტორიაში, კრძოდ, ე.წ. თაობათა „ბძროლისა“ და „დაპირისპირების“ გამო ატეხილი აურზაური. ამ გამონაგონის პირვანდელი ფორმულა მარტივია: საკმარისი იყო საკუთარი რეპატრაცია თაობის პრესტიჟთან გაგვეთანაბრებინა და პირადად შენი მისამართით წამოყენებული ნებისმიერი პრეტენზია მთელი ლიტერატურული პლეადის შეურაცხყოფად შეიძლებოდა გამოცხადებულიყო.

დამახასიათებელია, რომ ამ მითიური „დაპირისპირების“ გარშემო (რომელზეც მისმა მახვილგონიერმა ავტორებმა ბოლო დროს ფაქტიურად ხელი აიღეს) დღეს მხოლოდ ეპიგონები ხმაურობენ.

ცილისწამებაა ობიექტურად, როდესაც კრიტიკოსი ანგარიშს არ უწევს ნაწარმოების ჩანაფიქრს და მწერალს იმ ცოდვას სწამებს, რის წინააღმდეგაც ეს ნაწარმოები დაიწერა.

როგორც ცნობილია, სიმართლის, კერძოდ, მხატვრული სიზუსტის ძიების მეტად რთულ და მტკივნეულ პროცესში (რაც დღეს თითქმის მთელ ქართულ ხელოვნებას დაეცყო) გამორიცხული არ არის დროებითი წარუმატებლობა, გადახრა თუ ცალკეული უზუსტობანი.

საშიშია თავისთავად არა ეს, არამედ ყოველივე ამისადმი ტლანქი, უნდობელი დამოკიდებულება.

მიუტევებელია, როდესაც შემოქმედებითი პროცესის ამ ბუნებრივ ხარვეზებს წინასწარგანზრახულ ბოროტმოქმედებად აცხადებენ, უმოწყალოდ, ხელის აუკანკალებლად ურევენ ერთმანეთში სრულიად განსხვავებულ მორალურ თუ სოციალურ კატეგორიებს და ყოველივე ამის საფუძველზე მომაკვდინებელი განაჩენი გამოაქვთ იმის მიმართ, რაც გულისხმიერი განხილვის საგნად უნდა ქცეულიყო.

ჩვენ ბავშვები აღარ ვართ, ვიცით, ვისი ღირსეული მემკვიდრეობაც გვმართებს, ვის რა უნდა მივბაძოთ, რა უნდა გვახსოვდეს, რა აღარ უნდა შეგვეშალოს. ზოგიერთი რამის მოგონება გვეზარება, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა და როგორ ხდებოდა, კერძოდ, ქართულ მწერლობაში (განსაკუთრებით ლიტერატურულ კრიტიკაში) რამენიმე ათეული წლის წინათ, როდენ მძიმე ვითარებაში უხდებოდათ ზოგჯერ მუშაობა ქართული სიტყვის იმ უნიჭიერეს ოსტატებს, რომელთა ხსოვნის წინაშე, ყველა, თავისი საქმის პატივისმცემელი ლიტერატორი მონინებით ქედს უნდა იხრიდეს.

ღვარძლი, დემაგოგია, ცინიზმი, მწერლობაში არალიტერატურული, ან უფრო ზუსტად, ანტილიტერატურული ინტერესებით ცხოვრება – ყოველივე ეს უნიჭობისა და უნიგნურობის ძველი თანამგზავრებია.

საბედნიეროდ, ასეთი ავზნიანობის რეციდივები დღეს მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება.

შეიძლებოდა მათი დასახელებაც, მაგრამ ამისგან თავის შეკავებას ერთი გარემოება გვიკარნახებს.

არა ვისიმე პიროვნების დისკრედიტაციის ან, როგორც იტყვიან, „ნიღბის ჩამოსაგლეჯად“ დაინერა ეს წერილი, მისი მთავარი მიზანი სხვაა: ის „ღვთისგარეგანი“ სუბიექტი, ადრე რომ ვახსენეთ, მხოლოდ ჩვენს გარშემო არ დაძრწის. ასე რომ იყოს, მისი მოგერიება შედარებით ადვილი იქნებოდა. ის ზოგჯერ ჩვენივე არსებაშია მოკალათებული და შიგნიდანვე გვებრძვის, შიგნიდანვე გვიმღვრევს სულსა და გონებას.

დაე, თითოეულმა ჩვენთაგანმა, ვიდრე სხვას გაიმეტებდეს, პირველ რიგში, საკუთარი სულის სიღრმეში ჩაიხედოს, თავის უმკაცრეს მსჯავრდებულს გაუსწოროს თვალი. ვიდრე ადამიანი ნამდვილად ცოცხალია, სიტყვა „გვიან“ მისთვის არ უნდა არსებობდეს.

როგორც რიგით ქართველ ლიტერატორს, მე ზოგჯერ (შინაც და გარეთაც) საშუალება მეძლევა სიამაყით ვილაპარაკო არა მხოლოდ ქართული მწერლობის კლასიკაზე, არამედ იმ მწერლებზეც, რომელთაც უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებული კვალი დააჩნიეს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას.

მოპოვებულის იგნორირება უაზრობაა. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, ის, რაც ჩვენს ცხოვრებაში 60-იან წლებში დამკვიდრდა.

გასული ათწლეულის ქართულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების მთავარი ხაზით შეძლო, (ნაწილობრივ მაინც) მოემზადებინა საფუძველი საზოგადოებრივი აზრის დღევანდელი მიმართულებისთვის.

სწორედ ეს ლიტერატურა იყო მაშინ ერთ-ერთი, შესაძლოა, არა სათანადოდ გაბედული, არა ყოველმხრივ თანმიმდევრული, მაგრამ მაინც, არსებითად მაღლი ზრახვებით შთაგონებული, ბეჯითი მეკვლე „ახალი ქროლვისა“ – ეროვნული ცნობიერების სიღრმეში მიმდინარე მოძრაობათა ერთ-ერთი გზის გამკვლევი.

დიახ, ლიტერატურა, რომელიც მე მაქვს მხედველობაში. იყო და არის, უწინარეს ყოვლისა, კეთილი ნების ლიტერატურა.

და მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ ღრმად ცდება ის, ვინც ძველებურად დარწმუნებულია, თითქოს კეთილი ზრახვებით მხოლოდ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა იკირწყლებოდეს.

ეს სკეპტიკური აფორიზმი განსაკუთრებით ყალბად ჟღერს ჩვენს დროში, როდესაც მთელი ჩვენი არსება, ყველაფერი, რაც ჩვენს სოციალურ ორგანიზმში ნამდვილად მრთელი და სიცოცხლისუნარიანია, „სუფთა მერმისის“ წრფელი მოლოდინით სუნთქავს.

გულგრილობა, ურწმუნოება, პილატეს სამარცხვინო ჟესტი ასეთ დროს არანაკლებ მომაკვდინებელია, ვიდრე ობივატელის ყოვლისდამთმობი პოზიცია, ან იმ პირთა ცურ აჟიოტაჟი, ახალ განწყობილებებზე ძველებურად ხელის მოთბობას რომ ცდილობენ.

დროა, ქართული ინტელიგენციის თითოეულმა წარმომადგენელმა იგრძნოს, რომ ჩვენს სოციალურ სინამდვილეში, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ჩვენ ნამდვილად „ჩვენივე თავს ვეყუდებით“ და პასუხიც – ყველაფრის გამო, რასაც ჩვენი ხელი შეეხოს, ან რის წინაშეც გულხელდაკრეფილნი გავირინდეთ, ადრე თუ გვიან ჩვენვე მოგვეკითხება.

1973 წ.

ფორტ სანტ-იაგოდან ხატინამდე

ფილიპინები შვიდი ათასი კუნძულისგან შედგება. ამ კუნძულებითაა მოფენილი სამხრეთ-ჩინეთის ზღვა და წყნარი ოკეანე. თვითმფრინავიდან რომ გადმოხედავ – პატარა კუნძულებს ზურმუხტისფერი არშია აქვთ შემოვლებული. ზურმუხტისფერს პირობითად ვწერ. სინამდვილეში მისი სახელი არ ვიცი, ამ ფერს რომ ხედავ, სუნთქვა გეკვრება. არსად, დედამიწის გარდა, ასეთი ფერი არ არსებობს, აღარსად შეგხვდება!..

მე მოგზაურობით განებივრებული არა ვარ. ამის გამო ყოველი შთაბეჭდილება აღმოჩენაა.

„რამხელაა მაინც ქვეყანა, – ვფიქრობ, – რამდენი ფერი ირევა ერთმანეთში, რა მილეთის ხალხი მიდი-მოდის... რა ძნელია, არც ერთის მიმართ ბრმა არ დარჩე და რა ძნელია, ფერთა ამ სიჭრელეში ის ერთადერთი გადაარჩინო, შენ რომ თან დაგყვა და ყველგან თან გდევს – ის ერთადერთი, არც ერთი ფერის მსგავსი, უცნაური, გამოუთქმელი...“

ფილიპინებისკენ ორდღენახევარს ვიფრინეთ: ბეირუთი, ქაირო, ბომბეი... ბანგკოკი... ჰონკონგი... (აქეთობას – ოსაკა და ტოკიო): მარჯნისფერი, ალუბლისფერი, ღვინისფერი, სადაფისფერი, ყველაზე მეტად – ლჯრუი და თეთრი, – ღრუბლის ფთილებით გადაფიფქული უსაზღვრო სივრცე ოკეანისა... მე კი მივდივარ და თან მიმყვება:

გინახავთ თქვენ ფერი
დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლოს მთებია!

ხომ ითქვა ერთხელ და მაინც გვანვალებს, მაინც კიდევ აკლია რაღაც, მაინც უთქმელი რჩება ბოლომდე.

წარმოუგენლად ძნელია ფერთა ამ მორევში, რომელიც სულ უფრო გითრევს და მოულოდნელ აღტაცებათა სიმკვეთრით გაღრჩობს, შეინარჩუნო შენი პირველი სიზმრების, შენი აუძღვრეველი იმედის ფერი – წარმოუდგენლად ძნელი და აუცილებელია ეს.

ფილიპინების ეროვნული ყვავილი – სიმპაგიტა – თეთრი ფერისაა. ჩვენთვის ნაცნობი ყვავილებიდან ყველაზე მეტად ჟასმინს (უცვეთელას) ჰგავს. რა სურნელისაა ეს ყვავილი? – ძნელი სათქმელია. – თითქოს რაღაც სათუთ, სევდანერევი სინაზით და სინანულით სავსე მელოდიას ისმენ...

ახლა მთელი აზია ერთ ჰანგს მღერის გახმაურებული ამერიკული კინოსურათიდან მაფიის თემაზე.

ამ მელოდიას ასრულებენ ტაილანდის დედაქალაქის მთვლემარე აეროპორტში. ამ სიმღერას ლილინებდა სიგარეტების გამყიდველი ხუთი წლის ბიჭი მანილას გარეუბანში. ეს სიმღერა გვიმღერა ფილიპინების პრეზიდენტის მეუღლემ, ქალბატონმა იმელდამ თავის საზაფხულო რეზიდენციაში კუნძულ ლეიტეზე.

ვისაც ეს ფილმი უნახავს, გაახსენდება: „მშვიდობიანი“ (სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყოფილი) მამაკაცები ხელისაუკანკალებლად ჟღერენ

ერთმანეთს, ხელისაუკანკალებლად აღრჩობენ თავიანთ მონინააღმდეგეს, ესვრიან ახლო მანძილიდან, პირდაპირ სახეში (ჩალენილი სათვალისა და სისხლის მუქი ჩქერი ამოხეთქავს). სისასტიკის სურათები მონოტონურად ცვლიან ერთმანეთს. გუშინდელი „კარგი ბიჭი“ ცივსისხლიან ჯალათად იქცევა. და აი, ამ კადრებს ფონად გასდვს წყნარი სასონარკვეთილებით სავსე მუსიკა, როგორც ჩუმი ხვეწნა, როგორც მარადქალური საყვედური, როგორც ვედრება სათნოებისა, როგორც ჩუმი მოგონება იმისა, რომ ეს მამაკაცებიც ერთ დროს ბავშვები იყვნენ...

ადამიანები უფრო მეტად გვანან ერთმანეთს, ვიდრე ეს შორიდან გგონია. ეგზოტიკა, უცნაური ჩაცმულობა, გაუგებარი მანერები – მხოლოდ ზედაპირია.

ამას გვიან ხვდები და ეს უფრო გაცხებს, ვიდრე ნებისმიერი ეგზოტიკური საოცრება.

თურმე ადამიანებში მთავარი და მშვენიერი ყველგან ის არის, რაც შენ სიყრმიდან გხიბლავდა: უბრალოება, სულის სიჩვილე, სამართლიანობის ნიჭი, ლალი ზნე და შინაგანი ღირსების ორგანული, ურყევი განცდა.

საკვირველია არა ის, რომ ფილიპინელი გარეგნულად არაფრით არ ჰგავს ქართველს, არამედ ის, რომ მის ეროვნულ ხასიათში არის ორი ჩვენთვის დიდად საცნაური თვისება: უაღრესი (თითქმის ავადმყოფური) სიმორცხვე და სიამაყე.

ოღონდ გამოვლენა ამ თვისებებისა სრულიად სხვაა – არაჩვენებური.

ფილიპინელი უცნაურად ალერსიანი და მიმნდობი არსებაა. ვისაც უნდა გაუღიძო ქუჩაში, უმაღვე შემოგცინებს. თუ სახალისო ან გულისხმიერი სიტყვა უთხარი, შენკენ გადმოიხრება გაბრწყინებული თვალებით. ქალიშვილმა შეიძლება მხარზედაც დაგადოს თავი, სუროსავით შემოგახვიოს მადლიერება და სინაზე. მაგრამ არსეობს ბარიერი, რომლის იქით ფილიპინელის თანდაყოლილი კდემამოსილება ხელშეუხებელია. ის მხოლოდ იმიტომ არ ერიდება შენდამი კეთილგანწყობის გამოვლენას, რომ არაფერი არა აქვს დასამალი. არავითარ საფრთხეს არ ხედავს თავისთვის ამ სინრფელეში. ფილიპინელი ქალი (გარდა ცნობილი გამონაკლისისა) აბსოლუტურად პატიოსანია, მისთვის მხოლოდ ერთი სიყვარული არსებობს – სამუდამო.

ფილიპინელის სიამაყეც უჩვეულოდ ვლინდება. მანილაში მე გავიგე, რას ნიშნავს სინამდვილეში სიტყვა „ამოკ“, რომელიც ევროპელებმა სტეფან ცვაიგისაგან შეიტყვეს.

როდესაც ფილიპინელი ისეთ დღეში ჩავარდება, რომელიც მის ადამიანურ ღირსებას შეურაცხყოფს (სილატაკე მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ის დამცირებას ვერ იტანს) და როცა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა გზა აღარ არის, ის მოულობს იარაღს, ჰკლავს ჯერ შვილებს (თითო ფილიპინურ ოჯახში საშუალოდ 4-5 ბავშვი იზრდება), მერე – ცოლს, მერე – ყველას (განურჩევლად), ვინც ამ ამბავს შეესწრება და უკანასკნელი ტყვიით (თუ მანამდე სხვებმა არ მოუღეს ბოლო) თვითონ იკლავს თავს.

აი, რას ნიშნავს ფილიპინურად სიტყვა „ამოკ“.

ფილიპინებზე ჩვენ (სიმპოზიუმის მონაწილეები) დიდი ამბით მიგვიღეს. პირველ დღეს პრეზიდენტის სტუმრები ვიყავით, მეორე დღეს – საგარეო საქმეთა მინისტრისა, მესამე დღეს თავდაცვის სამინისტრომ მოგვინყო მიღება და ა.შ. ბოლო ორი დღე კი ქალბატონ იმელდას სასახლეში გავატარეთ. ერთი სიტყვით, ფილიპინები ჩვენ ფასადიდან ვნახეთ. მუხედავად ამისა, ინტერიერის ზოგიერთი დეტალიც გამჟღავნდა.

ორი შთაბეჭდილება ჩამრჩა მეხსიერებაში განსაკუთრებით მკაფიოდ – ორი ფაქტი, ორი ადამიანის სახე.

ისინი ერთ საღამოს გავიცანი ფორტ სანტ-იაგოს ნანგრევებში, სადაც პოეზიის დიდი საღამო გაემართა. ეს ზღვისპირა ციხესიმაგრე ესპანელების მიერაა აშენებული ოთხი საუკუნის წინ.

საღამოს დაწყებამდე ქვის მაღალ ტერასაზე ვისხედით. თხუთმეტიოდე ტაბლა დაგვხვდა გამლილი. გარშემო – უამრავი ყვავილები, ჩირაღდნები, მუსიკა,

ლიმილით საესე თვალეზი, ცეკვა, ჟივილ-ხივილი. ჩვენს სუფრასთან: ახალგაზრდა იაპონელი ქალი ლეგენდარული იუსუო მასიმას მიერ აღმოჩენილი და გზადალოცვილი, თავის სამშობლოში ამჟამად ყველაზ პოპულარული პოეტი ქალი. მის გვერდით – კიდევ უფრო ახალგაზრდა (26 წლის) ლონდონელი „დენდი“ – სენ ანტონი, – ორი ჟურნალისა და პანტომიმის უდიდესი (800-კაციანი) თეატრის მფლობელი, გარდა ამისა, პოეტი, ქორეოგრაფი და ჟურნალისტი (როგორც ჩანს, საკმაოდ მდიდარი ოჯახის ნაშეიერი). ამ „დენდის“ უზმოდ დაჭმუჭნული ძველი კოსტიუმი ეცვა, თავზე ფართოფარფლიანი ფეტრის ქუდი ჰქონდა ცერად ჩამოფხატული, როგორც წესი, ფეხშიშველი დადიოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოფიციალურ პირებთან გვექონდა შეხვედრები. მისიმას ფავორიტ ქალთან პირველ საღამოსვე გააბა რომანული კავშირი, ბოლო დღეებში უცეერმონიოდ აქცია ზურგი და ადგილობრივ ბანოვანებთან მსუბუქი ფლირტით გაერთო.

ჩვენს სუფრასთან იჯდა აგრეთვე იმ სღამოს უღამაზესი წყვილი, უღრესად თავაზიანი და წყნარი ცოლ-ქმარი – ორივე მანილას მთავარი დრამატული თეატრის ნამყვანი აქტიორი, და კიდევ ერთი უსახური, მაგრამ საოცრად ცოხალთვალეზიანი, თმებზე ცეცხლნაკიდებუღი შუახნის ქალი.

ეს უკნასკნელი პროფესიონალი მომღერალი და მანილას ამჟამად განთქმული რევიუს ხელმძღვანელი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირიდან ამ სუფრასთან ორი ვიყავით – რუსი პოეტი ვალენტინ სიდოროვი და მე.

უთარჯიმნოდ გვიხდებოდა ჩვენს მასპინძლებთან საუბარი და ამას რის ვაი-ვაგლახით ვალწევდით... მაინც რღაც მხიარუღებისა და გულთბიღობის მსგავსი ტრიაღებდა ჩვენს სუფრაზე.

და აი, მოუღოდნელად, როდესაც ტერასაზე რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა (მოცეკვავეები რთულ იღეთს ასრუღებდნენ ბუნებრივი ესტრადის წინ), იმ თმებზე ცეცხლნაკიდებულმა ქალმა სუფთა რუსუღით მოგვმართა:

– Ребята, знаете, что здесь творилось тридцать лет тому назад?

აღმოჩნდა, რომ ამ ნანგრევეებში საკონცენტრაციო ბანაკი იყო მაშინ.. მაგრამ ჯერ თვით ქალზე:

ჩემი მშობღები, – გვითხრა ქალბატონმა ვერამ, – ცირკის მსახიობღები იყვნენ. მამა პოღონელი მყავდა, დედა – რუსი. რეღოღუციამდე რუსეთში ცხოვრობდნენ. პირვეღმა იმპერიღლისტურმა ომმა შანხაიში მოუსწროთ. ამის შემდეგ ბევრი იხეტიღლეს და ბოღოს მინდანაოზე დასახღდნენ. მე კუნძულ მინდანაოზე დავიბღდე. დეღაჩემი დღესაც ცოცხღლია. ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც მე რუსუღად მეღაპარაკება. არასოღეს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს სხვა ენაზე...

ჩვენ, რასაკვირვეღია, მაშინვე შევესვით ქ-ნ ვერას დედის სადღეგრღეღო.

– დეღათქვენს, აღბათ, ახსოვს ძვეღი რუსუღი სიმღერები, – ვუთხარი მე. – თქვენც გასწავღიღათ?

– როგორ არა, მაგრამ მე პოღონეზიურ სიმღერებს ვასრუღებ.

– მაინც, მაინც...

ქალბატონმა ვერამ დაბღლი, ოდნავ გაბზარუღი ხმით ნამოინყო:

Расставаясь она говорила:

Не забудь ты меня на чужбине...

ყვეღანი გამოცოცხღდნენ. ჩვენს სუფრას რამდენიმე სტუმარი მოადგა. მეზობელი მაგიღებიდან ტაში შემოჰკრეს. საცეკვაო მუსიკაც მიჩუმდა.

მაგრამ ქ-ნმა ვერამ ბოღომდე აღარ იმღერა. თითქოს არც კი შეუმჩნეღია, რომ ყვეღა მას უსმენდა, ისევ იმ კითხვით მოგვმართა:

– იცით, ბიჭებო, რა მოხდა აქ ოცღაათი წღის წინ?

მამაჩემი და ჩემი ორი ძმა ამ კედღებთან მოჰკღეს...

იაპონელები სამ წელიწადს იყვნენ მანილაში. შედარებით წესიერად იქცეოდნენ, ზოგიერთი მათგანი დაუნათესავდა კიდეც აქაურებს, ულამაზესი გოგონები ითხოვეს ცოლად. ერთი სიტყვით, საოკუპაციო ჯარებსა და მოსახლეობას შროის სრული მშვიდობა სუფევდა. როდესაც ამერიკელებმა დესანტი გადმოსხეს ლუსონზე, მანილას გარნიზონის უფროსმა ქალაქის დატოვება ბრძანა. ომი უკვე წაგებული იყო. გარნიზონს ტყისათვის უნდა მიეცა თავი, ახლომდებარე მთებზე გადასულიყო და ჩინეთის ზღვის სანაპიროზე დალოდებოდა მაშვენ ნავებს, რომლებიც იაპონელებს თავიანთ ქვეყანაში დააბრუნებდნენ.

ასეთი იყო ბრძანება. მაგრამ ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ითაკილეს უკან დახევა. ციცაბოებზე ფოფხვას და ტყე-ტყე წანწალს აქვე ერთიანად ამოხოცვა ამჯობინეს. ყველამ, ვინც ბრძოლაში არ დაეცა, ხარაკირით დაასრულა სიცოცხლე. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, მათ მთლიანად ამოჟუჟუეს მანილის მოსახლეობა.

ეს ცხვარივით ხალხია, ბიჭებო, მაგრამ მათ ცხვრებივით კი არ გამოჭრეს ყელები, ანამეს, ჯვართ აცვეს.

ახლა ეს აღარავის სჯერა, ამათაც კი...

სადიზმი ძალიან რბილი სიტყვაა. ეს იყო სისასტიკის თავბრუდამხვევი დღესასწაული.

ჯერისკაცები და ოფიცრები ორსულ ქალებს მუცელზე ფატრავდნენ, ბრტყელ ხიშტქებზე აგებდნენ დედის საშოდან ამოგლეჯილ საკუთარ პირმშობებს და დროშებივით აფრიალებდნენ მანილის ქუჩებში.

ეს ახლა აღარავის სჯერა...

მოედანზე ისევ იფეთქა ცეკვამ. მოცეკვავე გოგონებმა ნიღბები ჩამოიგლიჯეს, უცებ გაიშალნენ და სიცილ-კისკისით, გამომწვევი გრიმასებით, ხელების ქნევით შემოგვეხვივნენ სტუმრებს, ეს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ამბავი იყო. ამის შემდეგ ყველანი მოედანზე უნდა გავსულიყავით საერთო ფერხულში ჩასართველად.

ყველაზე დიდი ჯაფა, ჩვენი დელაგაციის ხელმძღვანელს, ანატოლი სოფრონოვს ადგა. მისი უზარმაზარი სხეული მორევში მოხვედრილ ტანკერივით ტრიალებდა ფერხულის შუაგულში.

...ერთი კვირის შემდეგ იაპონური ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდი ტოკიოსკენ მიგვაფრენდა, წინა ადგილებზე რამდენიმე ოჯახი განაწილდა – სამიოდე იაპონელი ცოლ-ქმარი და 12 იაპონელი ბავშვი, 3-დან 7 წლამდე. როგორც კი თვითმფრინავმა სათანადო სიმაღლე აღიო, პატარებს პორტატული გრიფელის დაფები ჩამოურიგეს. ყველანი გულმოდგინედ შეუდგნენ ხატვას. დახატავდნენ და ჩვენთან მოჰქონდათ. ხატავდნენ იმას, რასაც ყველა ბავშვი ხატავს ამქვეყნად: დიდ ყვავილებს, პატარა სახლებს, ღრუბლებს, მზეს...

ყველაზე უმცროსმაც, რომელიც თავის დედიკოს ზურგს უკან ჩამოკიდებულ ფერად ხურჯინში ეჯდა, მოინდომა ჩვენი გაცნობა. მამამ ჩამოსვა ხურჯინიდან და ჩვენკენ გამოუშვა. ჯერ საკმაოდ გაბედულად მოაბიჯებდა, ახლოს რომ მოვიდა, მე მომაშტერა თვალი. მიყურა, მიყურა და უცებ აღრიალდა. ძუნძულ-ძუნძულით გაიქცა მშობლებისკენ.

მამამ სიცილით აიყვანა ხელში. დაუყვავა, მერე უფრო მკაცრად უთხრა რაღაც და ისევ ჩვენკენ გამოუშვა.

პატარა სამურაის ეს მოგზაურობა წინ და უკან რამდენიმეჯერმე გამნეორდა. სულ უფრო დიდხანს მისწორებდა თვალს. ბოლოს გადანყვიტა... ორივე ხელით მეცა ცხვირში და გამარჯვების ნიშნად ისეთი ხმით დაიჭყვივლა, მთელმა თვითმფრინავმა ჩვენ მოგვაპყრო თვალი.

ყველანი იცინოდნენ – ბედნიერი მშობლებიც, ბავშვებიც, ჩვენც და ჩვენი თანამგზავრი, საოცრად მხიარული, თავაზიანი მიუნხენელი სტუდენტებიც.

იცონოდა და ჰაეროვან კოცნას მიგზავნიდა ის პატარა სამურაიც, რომელმაც სულ ახლახან გადაიტანა თავისი პირველი განსაცდელი – მამაკაცის პირველი გამოცდა და ახლა უკვე დედის ხურჯინში ბუქნავდა ბედნიეი სახით.

...ორი კვირის შემდეგ ხატინში ვიყავით, 186 ბელორუსული სოფლის სასაფლაოზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც გერმანელებს ბავშვთა საკონცენტრაციო ბანაკი ჰქონდათ გამართული.

ამ ბავშვებს შედარებით კარგად კვებავდნენ, რადგან მათ ყოველდღიურად უნდა გაეღოთ სისხლი მესამე რაიხის ჯარისკაცებისთვის.

სისხლის დოზა დიდდებოდა მსხვერპლის შესაბამისად...

ყოველივე ეს ძალიან ჩქარა მოხდა ჩემთვის, ისეთი სისწრაფით, რომ მე ნახულის გააზრება ვერ მოვასწარი და ახლაც იმ კითხვების წინ ვდგავარ:

როგორ შეიძლება ამ სახეების შეთავსება? როგორ...

თუ ერთი მათგანი რეალურია, მაშინ მეორეს არსებობა ხომ წარმოუდგენელი უნდა იყოს?!

არის კითხვები, რომლებიც ყველა შესაძლებელ პასუხზე უფრო მწარედ გახვედრებენ იმას, რაც აქამდე მხოლოდ ყრუდ გვესმოდა.

ქართველებმა ვიცით, რა იყო ომი... ამ ომმა საოცარი უფსკრულები გააშიშვლა – ადამიანური ცნობიერების დღემდე სიბნელით მოცული სიღრმეები. მე-20 საუკუნის ადამიანის ცნობიერება უფრო რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე ამას წინა ეპოქების ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები ფიქრობდნენ.

ომმა იმსხვერპლა მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, კიდევ უფრო მეტი დაახეიბრა, დააქვრივა, დააობლა, მაგრამ ამით მისი მოქმედების ძალა არ ამოწურულა, ეს ომი საბედისწერო აღმოჩნდა არა მხოლოდ მსხვერპლთათვის, არამედ მათთვისაც, ვინც ფიზიკურად გადარჩა.

ომმა შვა უცნაური არსებები, რომელთა ფსიქოლოგია ჩვენთვის ფაქტობრივად გაუგებარია.

აი, ერთი მათგანი:

ისიც ფორტ სანტ-იაგოში გავიცანი.

პოეზიის საღამო მართლაც საინტერესო გამოდგა. ჯერ მანილელმა ახალგარდა პოეტებმა მოაწყვეს ეგზოტიკური სანახაობა – მზის სადიდებელი რიტუალი ექსტატიური მოძრაობებით და საკულტო სიმღერით. ყველაფერს გაზვიადებით აკეთებდნენ და თვითონვე ეცინებოდათ ამაზე. მერე გამოვიდა ხანში შესული ფილიპინელი პოეტი და თქვა: მე წავიკითხავ ლექსს, რომელშიც არ იქნება არც პოლიტიკა, არც იმპერილიზმისა და კოლონიალიზმის კრიტიკა, არც მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგება, არც პროგერსული იდეები და ა.შ. იქნება მხოლოდ მოგონება ერთ ქალზე, რომელმაც 20 წლის წინ მიღალატა.

ლექსი საკმაოდ ცივად მიიღეს.

მერე გამოვიდა შუახნის ფილიპინელი პოეტი და თქვა: მე წავიკითხავ ლექსს, რომელშიც ერთმანეთს ერითმება იმპერიალიზმი და სოციალიზმი, პროგრესი და რეგრესი, ჰუმანიზმი და სადიზმი და ა.შ.

არც ამ ლექსს გამოუწვევია აღფრთოვანება.

მერე გამოვიდა მოხუცი პოეტი, რომელსაც ოვაციები მიუწყვეს. მან წაიკითხა ლექსი სამპაგიტაზე.

მერე გამოვიდა კიდევ ერთი მოხუცებული ქალი, რომელაც გიტარისტების თანხლებით იმღერა თავისი ერთადერთი, მანილელთა საყვარელი ლექსი.

მერე სცენაზე მიიწვიეს ინგლისელი სერ ანტონი, მან რამენჯერმე დათვალა თხუთმეტამდე ჯერ წაღმა, მერე უკუღმა, როცა მეოთხეჯერ წამოიწყო თვლა, აუდიტორიამ სტვენა აუტეხა, სერ ანტონიმ თავისი ფართოფარღლებიანი ქუდი მოუხადა საზოგადოებას და წყნარად ჩამოვიდა სცენიდან...

ყველაფერი ეს ქვის დიდ, უჭერო დარბაზში ხდებოდა. მასპინძლების დიდი ნაწილი (ახალგაზრდობა) ქონგურებზე ისხდა და იქიდან უკრავდა ტაშს, ან უსტვენდა ორატორებს.

საშინელი სიცხე იდგა ამ დარბაზში. ოკეანის ნოტიო სუნთქვა კიდევ უფრო ამძიმებდა ჰაერს.

მე ველარ გავძელი და გარეთ გამოვედი. შემოსასვლელთან ის ახალგაზრდა პოეტები შემეჩვენნენ, მზის სადიდებელი რომ შეასრულეს. ღვთის მსახურთა მოსასხემები გაეძროთ და უმრავლესობას (გოგონებსაც და ბიჭებსაც) რუხი ჯინსები და ღია ფერის მაისურები ეცვათ. რამდენიმე მათგანმა გამოლაპარაკება სცადა ჩემთან, როცა გამოირკვა, რომ ამის მოხერხება მხოლოდ ფრანგულად შეიძლებოდა, მთხოვეს, ეზოს იმ კუთხეში გავყოლოდი, სადაც ოთხასი წლის მანძილზე ჩამოცვენილი ქვა და ღორღი ეყარა.

ერთ ლოდზე სწორედ ის ბიჭი იჯდა, რომელიც ყველა სხვა ფილიპინელზე უფრო მეტად დამამახსოვრდა, ცალ ხელში შოტლანდიური ვისკის ნახევრად დაცლილი ბოთლი ეჭირა, მეორეში – მუყაოს სასმისი. როცა ამხანაგებმა აუხსნეს ჩემი ვინაობა, ერთხანს ისე მიყურა, სახის არც ერთი ნაკვთი არ შერხევია (წამოდგომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო). მერე ყოველგვარი ინტერესის გარეშე მკითხა: მართალია, რომ ბატონი რუსი ფრანგულად ლაპარაკობს?

ეს ბიჭი 30 წლის აღმოჩნდა. იერი ბავშვის ჰქონდა, მანერები – ჭარმაგი მამაკაცის. ხმა კი... მაგრამ ამაზე ცოტა გვიან.

თარჯიმნობა ძალიან მალე მოსწყინდა და თვითონ გამიბა საუბარი.

– რა აზრის ხართ ჩვენს ცეკვებსა და სიმღერებზე?

მე ვუპასუხე, რომ ნუხელ პრეზიდენტის სასახლეში სასწაულებრივად იცეკვეს და იმღერეს ულამაზესმა ფილიპინელმა ქალიშვილებმა.

– და თქვენ გული არ აგერიათ?

მე უხერხულად გავიღიმე:

– არ მესმის...

– როგორ შეიძლება ადამანს, რომელსაც მწერალი ჰქვია, გული არ ერეოდეს სიყალბეზე? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ყოველივე ეს გაქნილი სუტენიორების მიერ გამოგონილი მანქვა-გრეხაა?

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა „ბიჭთან“, რომელსაც, ამხანაგების სიტყვით, მანილაში ყველაზე უფრო გრძელი სახელი ერქვა და რომელსაც ისინი ალერსით ჟოლიკოს ეძახდნენ.

– დაბრძანდით, – მითხრა ჟოლიკომ. – იმედი მაქვს, უზრდელობაში არ ჩამომართმევთ, რომ არ ვდგები. ძალან დაღლილი ვარ. ეს საკმაოდ იაფფასიანი ვისკია. არ ვიცი, ვინ შემომაჩეჩა ხელში, თანაც უსოდოდ... თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, ამათი სადღეგრძელო დალიეთ, ჩემი ამხანაგები არიან, პოეტები – ძალიან კეთილი და უწყინარი ხალხი. აი ეს, ყველაზე ხმამაღლა რომ კიოდა სცენაზე, ოთხი წიგნის ავტორია. ტაჰალურ დიალექტზე წერს გრძელ პოემებს.

მე უკვე მეზობელ ლოდზე ვიჯექი და მუყაოს ნახევრად სავსე სასმისი მეჭირა ხელში.

ძალიან მინდოდა რაიმე ისეთი მეთქვა ჩემი მასპინძლისთვის, რომ მას ცოტათი მაინც წაგრძელებოდა საკმაოდ მრგვალი სახე.

უზრდელობა ყველგან უზრდელობაა, მაგრამ ჩვენ ზოგჯერ „ადგილობრივი კოლორიტით“ ვცდილობთ მის გამართლებას.

ჟოლიკო გარეგნობითაც განსხვავდებოდა თავისი თანამემამულეებისგან, – ფართო ყბებით, სიმსუქნისკენ აშკარა მიდრეკილებით და, განსაკუთრებით, ტუჩებით. ასეთი თვითკმაყოფილებისა და ზიზღნარევი ირონიის გამომხატველი სქელი ტუჩები მის გარდა მხოლოდ ერთ კაცს შევამჩნიე მანილაში – აქაურ მწერალთა ასოციაციის გენარალურ მდივანს ბ-ნ ადრიან კრისტობალს.

როგორც ჩანს, ეს რაღაც განსაკუთრებული, იშვიათი ჯიშია ფილიპინელებისა.

ჩვენი საუბარი იმ საღამოს დიდხანს არ გაგრძელებულა, როცა ჩემმა თანამოსაუბრემ გაიგო, რომ კავკასიელი ვარ, გურჯიევზე ჩამომიგდო სიტყვა. გარდა ამისა, სასხვათაშორისოდ მითხრა, რომ მისი სკოლის მასწავლებელი სტალინის თაყვანისმცემელი იყო.

ფილიპინელები ჩვეულებრივ ახლად გაცნობილს ორ კითხვას უსვამენ: „ვინ არიან თქვენი მშობლები“ და „რამდენი შვილი გყავთ?“ ერთ-ერთი უხერხული პაუზის დროს გადავწყვიტე დამესწრო და ჩემი სიტყვაძუნნი თანამოსაუბრისთვის სწორედ ამ კითხვებით მიმემართა.

რალაც ღიმილის მსგავსი ათამაშდა მის მოკუმულ ბაგეებზე.

– მე უმამო ვარ, – თქვა მან ძალიან ნელა, – დიად, უმამო, გაითვალისწინეთ. დედა აღარც მახსოვს, როდის ვნახე უკანასკნელად. ბავშვები მძულს და არასოდეს მეყოლება...

ქვეყანაზე ბერი პიჟონია. როცა შენიანებში ხარ, მათი გამორჩევა ძნელი არ არის, მაგრამ უცხო ხილი ყოველთვის რალაც საიდუმლოებას გპირდება. გარდა ამისა, ჟოლიკოს თვალებში იყო რალაც, რაც ცნობისმოყვარეობაზე უფრო ძლიერ გრძნობას იწვევდა.

მე რომ მწერალი ვიყო, ზოგიერთ შტრიხს მივუმატებდი ამ ბიჭის სახეს. დავწერდი, რომ ის აღმოჩნდა იაპონელი ოფიცრების ერთი იმ სასწაულით გადარჩენილი ნაშიერთაგანი, რომელთაც ყველაზე მეტად თავიანთი ნამდვილი გვარი და მოდგმა სძულთ, რომ მისი რისხვა და შურისძიების წყურვილი სწორედ ამ მიზეზით (მისი წარმოშობით) იყო გამოწვეული.

ასეთი რამ მართლა მინდოდა შემეთხზა, უფრო მეტიც, იყო წუთი, როცა მე მომეჩვენა (როდესაც ორი კაცი მათთვის უცხო ენას ამტვრევს, ასეთი „მოჩვენება“ გამორიცხული არ არის), თთქოს მან აშკარად მაგრძნობინა თავისი შთამომავლობის საიდუმლო, მაგრამ ამაში მთლიანად დარწმუნებული არა ვარ და არც მკითხველი მინდა დავარწმუნო.

ამის შემდეგ ჟოლიკოს ყოველდღე ვხედავდი. დილით ის ჩვენი სასტუმროს ვესტიბიულში იდგა, შავ ან იისფერ პერანგში, მუქი სათვალეებით.

იდგა როგორც ქანდაკება, გულხელდაკრეფილი, აბსოლუტურად უძრავი, მის გარშემო კი საკმაოდ საპატიო პირები ფუსფუსებდნენ (არა მხოლოდ მასპინძლები, სტუმრებიც).

რატომღაც ის ყოველთვის ცენტრში იდგა და ყველა ძალაუნებურად მის გარშემო ტრიალებდა. სტუმრებს (მათ შორის მეც) ცივი თავაზიანობით დაგვიკრავდა ხოლმე თავს და მერე თითოს ველარ გვამჩნევდა. იდგა გაყინული, არაფრისმთქმელი სახით.

საღამოსთვის ჟოლიკო თვრებოდა და დინჯად, აუჩქარებლად იწყებდა სახელოვან სტუმართა ეპატირებას. ხან რომელიმე მათგანისთვის განკუთვნილ საპატიო სავარძელში ჩაჯდებოდა და ფეხიფეხგადადებული, გაყურსული, მთვლემარე ბუდას ემსგვსებოდა, ხან მაინცდამაინც იმ პირს დაუგებოდა წინ, რომელსაც თაყვანისმცემლები ეხვეოდნენ და ასე, მისკენ ზურგმექცევით მდგარი, თავისი ფართო ტორსით მთლიანად ფარავდა თაყვანისცემის საგანს.

ამას ისეთი ოსტატობით აკეთებდა, რომ მისთვის გვერდის ავლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. კედელთან მიჭექჭყილი „თაყვანისცემის საგანი“ ამაოდ ცდილობდა ხაფანგიდან თავის დაღწევას.

ჩვენი მეორე საუბარი ავტობუსში გაიმართა, როდესაც ქ-ნ იმელდას სასახლიდან მის მშობლიურ დაბაში გაგვასეირნეს. ჩვენს წინ ზანგი მწერლები ისხდნენ. ჟოლიკომ რატომღაც ინგლისურად დამიწყო საუბარი. მე რამდენჯერმე გავახსენე, რომ ეს ენა არ მესმის. მიუხედავად ამისა, თავისას მირეკავდა. უცებ თვალები შემომამტერა, საჩვენებელი თითი მკერდზე მომადო ნიშნისმოგებით და შემზარავი სიცილი ატეხა.

ძნელია ამ სიცილის აღწერა (პოეტები, ალბათ, სწორედ ასეთ სიცილს ეძახიან „დემონურს“). ჩემში მან რალაც გახევებული საგნის ასოციაცია გამოიწვია.

ეს სიცილი არც ყელიდან მოდოდა, არც გულმკერდიდან. ის თითქოს კბილებიდან ისმოდა, თითქოს ადამიანი კი არ იცინოდა, არამედ მხოლოდ მისი სხეულის ერთი ნაწილი – მხოლოდ ყბები და კბილები.

– ანატოლი, ანატოლი! – მეუბნებოდა ჩემი მეზობელი და გაბმით, შემზარავად იცინოდა.

ჟოლიკომ უცებ შეწყვიტა სიცილი, თითქოს დაწყნარდა, მერე როგორცღა მთლიანად შეიკუმშა და დაბალი ხმით თქვა: „მტრები“ – ოკეანისკენ მანიშნა თვალთ, – იაპონლები, ჩინელები, ესპანელები, ამერიკელები... – ყველგან ჩვენი მტრები არიან. ყველას ერთი ფიქრი აქვს, როგორ შეგეჭამონ. ჩემი შეჭმა უკვე ძნელია!

– აი! – სახელოები აიკაპინა: ორივე მკლავი ღრმა ნაიარევით ჰქონდა დასერილი.

– აი! – შავი, გრუზა თმები ჩამოშალა, საქორჩესთანაც საკმაოდ ღრმა ჭრილობის კვალი აჩნდა:

– იცით, სად მივიღე ეს? იცით? ალჟირში!

აი ამათ, ამ პირუტყვებს, – ზანგებზე მანიშნა, – ერთი დაკვრით ვუმსხვრევდი საკისრე მალეებს. არ გჯერათ? აბა, ხელი შემახეთ!

ჟოლიკომ თავისი ბიცეფსები მომიშვირა გასასინჯად. მართლა რკინის მუსკულატურა ჰქონდა.

ზანგები ამ დროს თავიანთ სიმღერას მღეროდნენ და არაფერი გაუგონიათ.

– Vive L' Algerie francaise! – დაიძახა ჟოლიკომ.

ანგოლელი ზანგი (ყველაზე ზორბა აფრიკელთა შორის) უცებ მოტრიალდა და ბავშვური აღშფოთებით შეხედა მთვრალ თანამგზავს. მერე თავი შეიკავა და რბილად უთხრა:

– თქვენ ცდებით, ჩემო მეგობარო!

– დიალ, ვცდები, – დაეთანხმა ჟოლიკო და ხმამაღლა, გაბმით, შემზარავი ხმით დაიწყო სიცილი.

ავტობუსი უკვე იდგა, ყველა ცდილობდა, არ შეემჩნია მომხდარი უსიამოვნება. ანგოლელი დიდი, ლამაზი, წყლიანი თვალებით შესცქეროდა უხამს თანამგზავს და სინანულით თავს აქნევდა.

ჟოლიკოს ორივე ხელი გადაეჭლო სავარძლის საზურგეზე. ყბები წინ წამოენია და პირდაპირ თვალებში უცინოდა შავკანიან სტუმარს.

დიალ, ვცდები. დიალ, ვცდები... ხა! ხა! ხა!

თითქოს გამხმარი ბამბუკის ხე ჭრიალებდა და საცაა შუაზე უნდა გადამტყდარიყო.

უკანასკნელ საღამოს (ქ-ნ იმელდას სასახლიდან გამომგზავრების წინ) ჟოლიკოს სასახლის აივანზე მოვკარი თვალი. ფილიპინების უპირველეს პოეტს – ხოსე გარსია ვილიას და მასთან ერთად შეერთებული შტატებიდან ჩამოსულ ცნობილი გამომცემლობის პატრონს ჩადგომოდა შუაში, ცალ ხელში სასმისი ეჭირა, მეორეთი კი ჰალსტუხს „უსწორებდა“ მასზე თითქმის ორჯერ მაღალ ამერიკელ საქმოსანს. ამას ისეთი თავაზიანი გულმოდგინებით და ისე გრაციოზულად აკეთებდა, რომ ამერიკელს, რომელსაც ალბათ უკვე სულისხუთვა ჰქონდა დაწყებული, აზრადაც არ მოსვლია პროტესტის გაცხადება.

ჟოლიკომ დამინახა, ნელა შეუშვა ხელი თავის მსხვერპლს და ჩემკენ გადმოდგა ორიოდ ნაბიჯი. – ბოი, – დაუძახა ლაქიას, – ვისკი!

– მოდი, უკანსკნელად დავლიოთ. ალბათ ათას სისუსლელეს ფიქრობთ ჩემზე. ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებთ, რაც ჩემგან გაიგონეთ. ერთ საიდუმლოებას გაგანდობთ კიდევ. მთავარ ჭრილობაზე არაფერი მითქვამს. იქ, ალჟირში, კიდევ ერთი საჩუქარი მივიღე. გახსოვთ „ფიესტას“ გმირი?.. ალბათ ძალიან შენუხდით, როცა მისი უბედურების საიდუმლო შეიტყვეთ. რა სიმპატიურად იტანს, არა, თავის საჭურისობას! მე კი ყველა მძულს, ყველა: მჩაგვრელებიც და ჩაგრულებიც, იღბლიანებიც და უიღბლონიც, მგლებიც და

ცხვრებიც. მე არა მხოლოდ უმამო ვარ, არც თვითონ მინერია მამობა. როგორც იტყვიან, უძეოდ უნდა გარდავეგო. ასე რომ, ნუ გეშინიათ, წერტილი აქ ისმება. ყოველ შემთხვევაში, ჩემისთანების გამრავლებაში პირადად მე ვერავინ დამდებს ბრალს...

ჟოლიკოს აღარ გაუცინია.

ძალიან წყნარად მიყურებდა. მერე ასევე წყნარად მოხვია ხელი გვერდით მოფუსფუსე ლამაზ გოგონას, ჩვეულებისამებრ მკაცრად დამიკრა თავი და თავის მხიარულ თანამგზავრთან ერთად ჩირაღდნებით განათებულ ხეივნისკენ გაეშურა.

ბელორუსიის ქალაქში, როდესაც ხატიინიდან დავბრუნდით, – პოეზიის დიდი ინტერნაციონალური საღამო გაიმართა ოპერის თეატრში.

პირველი სიტყვა კონსტანტინე სიმონოვს მისცეს. მან წაიკითხა ომის პირველ წელიწადს დაწერილი ლექსი: «Убей ero.»

ამ ლექსის შინაარსი ახლა ბევრს არ ახსოვს.

„მოჰკალი იგი, – წერდა მაშინ სიმონოვი, – ვინაიდან მან თვითონ მოინდომა შენი მოსპობა, მოჰკალი იგი, რომ მისი შვილები დაობლდნენ და არა შენი. მოჰკალი იგი, რომ მის სახლში აქვითინდნენ და არა შენში!“

გავიდა ოცდაათზე მეტი წელიწადი და რუსმა პოეტმა სწორედ ეს ლექსი წაიკითხა ხატიინიდან მინსკში დაბრუნებისას.

„მტერი უნდა მოიკლას!“ – ამ სიტყვებით მთავრდება ყაზბეგის უკანასკნელი რომანი „მოძღვარი“. კაცობრიობის ყველა დრამა – ეროვნულიც, სოციალურიც, პიროვნულიც – თავის გამოსავალს ეძებს.

მაგრამ ყველა დრამას აქვს თავისი ექსპოზიცია და კვანძის შეკვრის მომენტი.

ჟოლიკოსთანებს თავისი ხელით არ გამოუნასკვიათ ის ყულფი, რომელიც მათი სასონარკვეთილი სულის შემზარავ კონფულსიებს ინვევს.

იქნებ კიდევ შეიძლება ამ კვანძის გახსნა? თუ მისი გაგლეჯა მხოლოდ სამართლის აღმსრულებლის მახვლს შეუძლია, მხოლოდ ჯალათის უცდომელ ნაჯახს?

ზუსტად ვერ გეტყვით, რა უშუალო კავშირი აქვს ყოველივე ამასთან, მაგრამ მე ახლა ისევ ყაზბეგი მაგონდება: თემის მორალური საყრდენების შერყევით თავზარდაცემული ბრძენი ჯმუხა ჯალაბაურის სიტყვები: „ქვეყანა აირია“, „საძირკველი შეირყა“, „ძმა ძმას აღარ ინდობს“... და ბოლოს: „რა ვქთვა... რა გითხრა? შეუნდოა შემცოდეთა თუ შევაკვდე? იქნება სჯობდეს... არ ვიცი. იქნება ცოდო ბრალი, რაიც ჩვენში ტრიალებს, მსხვერპლს ითხოვდეს. აღარ ვიცი, ხალხო, და რაი ვქნათ?..“

სიმონოვის ლექსს მინსკის საოპერო თეატრში ოვაციებით შეხვდნენ, დიდხანს უკრავდნენ ტაშს. მან ბოდიში მოიხადა – ჩვენ აქ შევთანხმდით თითო ლექსზე მეტი არ წაგვეკითხა და არ მინდა, ცუდი მაგალითი მიცე ჩემს მეგობრებსო.

ტაში მაინც არ შეწყდა...

ბელორუსები ცნობილნი არიან ხასიათის სირბილით, სათნოებით. ჰიტლერის სპეციალურ ინსტრუქციაში გერმანელი ჯარისკაცებისადმი თურმე ეწერა, რომ ბელორუსებს ცხვრის ბუნება აქვთ და მათი გულისწყრომა საშიში არ არის. სახალხო შურისმაძიებლებმა ძალიან მალე შეიტანეს კორექტივი ამ კონცეფციაში.

სიმონოვს მთელი დარბაზი უკრავდა ტაშს. მე მომეჩვენა, რომ ეს ტაში მხოლოდ წაკითხულ ლექსს არ ეკუთვნოდა, რომ ამ ტაშით დარბაზი მოითხოვდა მეორე ლექსსაც, სხვა ლექსს, რომ პოეტს ამ ორი სიტყვით არ დაესრულებინა თავისი გამოსვლა.

როგორც ჩანს, იმ მძიმე გრძნობათა, იმ ფიქრთა პასუხი და გამოსავალი, რომელსაც ხატიინის საფლავები და სამრეკლოები აღძრავენ თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში, მაინც ეს არ არის.

ეს მხოლოდ აუცილებელი ზომაა, აუცილებელი მაშინ, როცა სხვა გზა აღარ არსებობს, როცა მტრული ძალა უკვე დაიძრა და სხვა ვერაფერი შეაჩერებს. მხოლოდ ზომა და არა გამოსავალი.

იყო მართლა ჟოლიკო ალჟირში, თუ ყველაფერი შეთხზა, რომ ხულიგნობის სიყმანვილისრდოინდელი ნაჭდევეები ომში მიღებულ ჭრილობებზე გაესაღებინა?

ეს სულერთია.

თავისი არსებით ის იქ იყო ნამდვილად, ორივე შემთხვევაში.

იქნებ ჟოლიკოსთანა ფსიქიკა საინტერესო არ არის? იქნებ ყველაფერი თავისთავად ნათელია, და ეს ნიაღვრეები მხოლოდ აბუნდოვნებენ იმას, რაც მტკიცედ და მარტივად უნდა გვესმოდეს?..

ომმა მხოლოდ მსხვერპლთა ოჯახები არ გააუბედურა. არსებობენ ჯალათთა შვილებიც („ჩემი“ ჟოლიკო უფრო რთული ფენომენია, ვინაიდან ის ჯალათის და მსხვერპლის პირმშოა ერთდროულად).

რა ვუყვით იმათ, ვისი ცნობიერებაც, ვისი სისხლიც, ვისი სულის ქსოვილიც წინამორბედთა საბედისწერო გეგმებს ატარებს?

რა ვუყვით ჯალათთა შვილებს?

ვიზრუნოთ მათი სულების გადასარჩენად, მოსაქცევად, ჯოჯოხეთის ცეცხლიდან გამოსახსნელად, თუ ძველი ჩვეულებისამებრ საღვთო წერილის სიტყვები გავიხსენოთ:

„გულნო, ნაშობნო იქედნეთანო! ვითარმე განერნეთ სასჯელმა მას გეჰენისასა?!“

როგორ აღმოვფხვრათ ბოროტება ისე, რომ მისი მატარებელი სხეული გადარჩეს?

აი, რა არის ძნელი.

მით უმეტეს, თუ ეს სხეული უბრალოდ კი არ ატარებს ამ შხამიან მარცვლებს, არამედ მთლიანად მონამლულია. თუ ყველა მისი შემადგენელი უჯრედი გაჟღენთილია ამ სანამლაავით და უკნასკნელის აღმოფხვრა პრაქტიკულად პირველის მოსპობასაც უდრის.

აი ჩვენი დროის ერთ-ერთი წყეული კითხვა.

ჟოლიკო, ცხადია, გამონაკლისია. ჩემთვის ის საინტერესოა იმის გამო, რომ მის ხასიათში მე უკიდურესი სახით დავინახე ის, რაც სხვაგანაც მინახავს: გაუგებარი, პარადოქსული ფორმით გამოვლენილი ულმოობლობა – ახალი ყაიდის სისასტიკე იმ თაობის წარმომადგენლისა, რომელიც ომმა შვა.

პარადოქსულია ამ შემთხვევაში ის, რომ გასრესილი ხალხის შვილი სხვა (მის მიმართ უდანაშაულო) ხალხის გასრესაში პოვებს შვებას. მაგრამ რამდენი სხვა არანაკლებ უცნაური გამოვლინება აქვს ამ ახალ სისასტიკეს! ყველგან, თითქმის ყოველ ნაბიჯზე!

მეორე მსოფლიო ომი უადამიანობის („ზეადამიანურობის“ იდეით შთაგონებულ) ძალებზე ჰუმანურ ძალთა გლობალური გამარჯვებით დამთავრდა.

ომმა დაგვიტოვა გაკვეთილი და სიკეთის გრძელი არსების რწმენა. ომმა და გვიტოვა თავისი მემკვიდრეობა. უამრავი ენერგია დაიხარჯა დანგრეულის აღსადგენად. ომის მატერიალური ნაშთები ახლა მხოლოდ მუზეუმებში ინახება. მისი სულიერი დანატოვარი მიმოხეულია მთელ პლანეტაზე, ათასგვარი ნაირსახეობით. დიდი ხანძრის ნაპერწკლებმა დაიბუდეს უფაქიზეს ქსოვილში და ეს უკანასკნელი დღემდე „ლპება“ ამ ნელი ცეცხლით.

ეს არის ომის ყველაზე საშიში მემკვიდრეობა. ყველაზე სახიფათო სანვაი მასალა მომავალი, სავსებით შესაძლებელი, ყველა უწინდელზე განუზომლად უფრო დიდი ხანძრისა.

შევძლებთ, თუ არა, ჩვენ ამ მთვლემარე ცეცხლის შეჩერებას, მზად ვართ თუ არა იმისათვის, რომ სულმოუთქმელად ვებრძოლოთ მას. მოვსპოთ იგი ისე, რომ მასთან ერთად სიცოცხლეც არ მოისპოს. ეყოფა თუ არა ჩვენს თითებს სათანადო სიფაქიზე, გულს – სიბრძნე, გონებას – სილბო, ნერვებს – მოთმინება?

შევძლებთ თუ არა ჩვენ, გავერკვეთ ომის მიერ ნაშობი თაობის სულიერ ხვეულებში, გამოვძებნით, თუ არა საერთო ენას მასთან – ადამიანობის, სიკეთის, გონიერების ძველისძველ, მარად ახალ ენას?

მე „ილბლიანი“ თაობის წარმომადგენელი ვარ. ერთი იმათაგანი, ვისაც ომში გასაწვევთა ასაკი სწორედ მაშინ შეუსრულდა, სწორედ იმ წელიწადს, როდესაც წინამორბედი თაობის ორმა რიგითმა წარმომადგენელმა რაიხსტაგის გუმბათზე ლოგიკური წერტილი დაუსვა მეორე მსოფლიო ომს.

ჩვენ, ცოტა არ იყოს, გვრცხვენია ჩვენი „ილბლის“. ამის გამო, ჩვეულებრივ, თავს ვიავეთ კატეგორიული მსჯელობისაგან. ვერიდებით პათეტიკურ სტილს, პრეტენზიულ მტკიცებებს. მიუხედავად ამისა, თვალებს მაინც არ ვნაბავთ, ხოლო ზოგჯერ ამ თანადაყოლილ სიმორცხვეს ზომიერი კადნიერებით, ან ჩუმი ირონიით ვანელებთ.

ჩემი თანატოლების უმრავლესობას ბრძოლის ველი არ უნახავს. მაგრამ ჩვენ ომის დროს ჩამოვყალიბდით ადამიანებად და ამ გარემოებას არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაევლო.

ომმა ბევრი რამ წაგვართვა, მაგრამ ომის გრძელ წლებში ჩვენ შევიძინეთ ერთი თვისება – ლოდინის უნარი, ლოდინისა და სასოების ნიჭი და კიდევ ის, რაც ადრე მხოლოდ ლექსიდან ვიცოდით:

„მწუხარე გრძნობა სევდის, სისველის
და სიყვარულის ასე მოთმენა“...

ჩვენ მომდევნოთ ეს სკოლა არ გაუვლიათ. მათ მოუთმენლად უყვართ და მოუთმენლად სძულთ. ეს მათი თვისებაა, მათი ღირსება და ნაკლი.

ჩვენ ზოგჯერ არ გვესმის ერთმანეთის, ან გვეგონია, რომ გვესმის და მწარედ ვცდებით.

ბავშვს მშობლები ზრდიან. და მაინც ყველა უმცროსი ძმისთვის მთავარი და გადამწყვეტი უფროსი ძმის სიტყვაა.

რა ვუთხარით ჩვენ ჩვენს შემდგომ მავალთ, რას ვეუბნებით, რას ვეტყვით ხვალ?

იქნებ ჩვენი ლაღადი კაცთმოყვარეობაზე მხოლოდ ლიტონი სიტყვაა. იქნებ მათ ნამდვილ გულისპასუხს სრულიად სხვა რამ აღძრავს, არა რჩევა, არა დასკვნები, არამედ გაგება – გაგება იმისა, რაც თვითონ მათ ბოლომდე არ ესმით, რაც მათი სულის სიღრმეში ხდება – იქ, სულ დაბლა, ფსკერზე. გაგება ყველაფრის, ყოველი წვრილმანის, ყველა ბიძგის, ყველა მოძრაობის პირველმიზეზისა.

მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები ასეთ სიღრმეთა გამოსაკვლევად მეტად ღარიბი მასალაა.

გარდა ამისა, მე ისედაც ავცდი ჟანრს. ბევრი რამ ავურიე ერმთანეთში. მკითხველსაც უთუოდ გავუცრუე იმედი (განსაკუთრებით იმათ, ვინც ჩემგან საზღვარგარეთულ უცნაურობათა აღწერას მოელოდა).

დროა წერტილზე ვიფიქრო.

1975 წ.

სცენა და დარბაზი

დედაქალაქის თეატრებმა სეზონი დახურეს. დამთავრდა შრომის, ცდისა და ძიების კიდევ ერთი ძნელი წელიწადი.

ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა საზაფხულოდ დაცარიელებულ თეატრის დარბაზში, როდესაც ფარდა ახდელია და სცენის უკაცრიელი სივრცე დუმილს მოუცავს, მას უთუოდ უნდა განეცადა საზეიმო იდუმალების თითქმის ფიზიკური შეგრძნება.

რამპის გადაღმა, კულისების ბინდბუნდში ამ დროს თითქოს ის უჩინარი სულები თვლემენ, რომლებიც სულ ახლახან მძაფრი, დაძაბული, ფერადოვანი სიცოცხლით ცოცხლობდნენ ჩვენს თვალწინ.

თეატრის სცენას აქვს თავისი შინაგანი უსაზღვროება (სიღრმის ამგვარ ილუზიას ვერავითარი ეკრანი ვერ ქმნის ჯერჯერობით). ამ სიღრმეში არის დაპირება, გამოუცნობ ზრახვათა, მოულოდნელობათა ნიშანი, რომელიც წინათგრძნობის განცდად ეუფლება დარბაზს.

ის ჰამლეტის მამის აჩრდილივითაა: რაღაცას გვაგონებს გამუდმებით, რაღაც აუცილებელ მოწოდებას აღვიძებს ჩვენში.

თეატრისგან ხშირად მოითხოვენ ცხოვრების სწორად, ანარეკლს, სიმართლეს, ბუნებრიობას. ეს მოთხოვნილება დღეს კიდევ უფრო გაღრმავდა.

ვერც ერთი ნორმალური მაყურებელი ვერ ეგუება სიყალბეს. მაგრამ ღრმად ცდება ის, ვინც სცენიდან სინამდვილის განმეორებას მოელის. მაყურებელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილისთვის თეატრი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაა – თვისობრივად განსხვავებული ცხოვრებისგან, „ბუნებისგან“. ეს განსხვავება ყველაზე მარტივად, სხვათა შორის, იმაშიც ვლინდება, რომ თეატრი „კვდება“ სწორედ იმ დროს, როცა ბუნება აღორძინების ზენიტშია, რათა ხელმეორედ სწორედ მისი საშემოდგომო ფერისცვალებისას გაცოცხლდეს.

სასცენო ფარდაც სწორედ მაშინ მიიწვეს ზევით, როდესაც ბუნება თავის გახუნებულ ბაირაღებს კეცავს.

თეატრში ჩვენ ვეძებთ უპირატესად იმას, რაც ცხოვრებაში დაგვაკლდა, რაც საერთოდ სხვაგან არსად მოიპოვება. ასე რომ არ ხდებოდეს, სცენა რომ მხოლოდ სარკე, მხოლოდ ანარეკლი იყოს ჩვენი ყოველდღიურობისა, რა ძალა გვაიძულებდა ამ „ყოველდღიურობით“ სავსე ქუჩიდან თეატრის მყუდრო შენობაში შესვლას?

* * *

თეატრის „სიცოცხლისუნარიანობა“ და „აქტუალობა“ რეპერტუარის თანადროულობით არ ამოიწურება.

აქტუალურია ის, რაც მაყურებლის გადაუდებელ სულიერ მოთხოვნილებას უპასუხებს. სოციალური ფაქტების რეგისტრატორის როლი ზღუდავს და აკნინებს თეატრის საზოგადოებრივ ფუნქციას. ერთი სიტყვით, თეატრში მთავარია არა მაინცდამაინც საამჟამო კონკრეტულ ვითარებათა აღმნუსხველი, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების სიღრმეში მიმდინარე კარდინალურ ძვრათა და მოძრაობათა თანხმეირი რეპერტუარი.

ეს კარგად ესმოდათ სასცენო ხელოვნების გამოჩენილ მესვეურთ.

ჩვენი საუკუნის რუსული თეატრის რეფორმაცია დაიწყო ღრმა ფსიქოლოგიური შინაარსით „კამერული“ სპექტაკლით – ჩეხოვის „თოლით“, რომელმაც ახალი სულიერი მოთხოვნილებები გამოამზეურა, ახალი ჭრილი გახსნა რუსული მწერლობისთვის მანამდეც ცნობილი პერსონაჟების სულიერ სამყაროში, ხოლო ქართულ სცენაზე რევოლუციას რამდენიმე საუკუნის წინათ დაწერილი პატრიოტული კომედია, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ შემოუძღვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სულ უკანასკნელ დროსაც ჩვენი მაყურებელი აქტუალობის ამგვარ წყურვილს უმთავრესად კლასიკურ თემატიკაში იკლავდა. ასე მიიღო მან კერძოდ, კოროსტილიოვის „დეკაბრისტები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

ყოველივე ეს სცენაზე თანადროულობის უარყოფას როდი ნიშნავს. ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქტუალური რეპერტუარი სასეზონო „ქროლვით“ არ განისაზღვრება. მისი მასშტაბია ეპოქა, საუკუნე. აქტუალობის ძვირფასი მადანი დროის სიღრმეში დევს და არა მის ზედაპირზე.

* * *

ქართულ თეატრს გასულ სეზონშიც ჰქონდა თავისი სიძნელები. ეს შეინიშნებოდა, კერძოდ, მის რეპერტუაშიც. თემატიკის თანადროულობის ვიწროდ

გაგებული მოთხოვნა ერთგვარი კომპრომისისკენ უბიძგებდა ზოგიერთ შემოქმედებით კოლექტივს და ჩვენ დიდი ხელოვნების ნაცვლად მის სუროგატს ვხედავდით სცენაზე.

სიყალბე თავს იჩენდა სწორედ იქ, სადაც სპექტაკლის ავტორები რეალისტურობის, სინამდვილესთან მაქსიმალური მიახლოების პრეტენზიას აცხადებდნენ.

ეს დამაფიქრებელი გარემოებაა.

სპეციალისტებს ალბათ თავიანთი თვალსაზრისი აქვთ ამის გამო, მაგრამ რიგითი მაყურებლის შეხედულებაც გასათვალისწინებელია. პირადად მე (როგორც ერთი ამ უკანასკნელთაგანი), ყველაზე მკვეთრად და ხელშესახებად ამ სიყალბეს თანამედროვე აქტიორულ მეტყველებაში ვხედავ, როგორც თეატრში, ისე კინოშიც.

ჩემი შთაბეჭდილება რომ უფრო ნათელი გახდეს, მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს, როგორ ნაძალადევად გაისმის ზოგჯერ დიალოგი გადმოქართულებულ სპექტაკლებში, განსაკუთრებით კი ე.წ. დუბლირებულ ფილმებში (მაშინაც კი, როცა ტექსტის თარგმანი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია). ის, რაც დედანში სავსებით ბუნებრივად ჟღერდა, კომიკურობამდე ხელოვნურ ელფერს იძენს ქართულ ვარიანტში. რა უნდა ინვევდეს ასეთ დამაღონებელ ეფექტს? ცალკეულ აქტიორთა შესრულების დაბალი პროფესიული დონე, ან აშკარა „ხალტურა“, ჩემი აზრით, ამ თითქმის კანონზომიერებამდე ხშირი მოვლენის ასახსნელად ვერ გამოდგება, თუმცა მეტყველების ინდივიდუალურ კულტურას ცხოვრებაშიც და სცენაზეც ზოგჯერ არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საერთო სულიერ აღზრდას.

ზემოხსენებული „ეფექტის“ მიზეზი, ყველა ობიექტური მაჩვენებლის მიხედვით, უფრო ღრმად უნდა იდოს. ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორებმა – კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა სასცენო მეტყველების უპირატესად პირობითი, რომანტიკული მანერა დაამკვიდრეს ჩვენში.

ასე მეტყველებდნენ ქართულ სცენაზე უშანგი ჩხეიძე და აკაკი ხორავა, ხოლო ყველაზე მკვეთრად, თავისი უაღრესი ფორმით ეს მანერა ვერიკო ანჯაფარიძის ხმაში გამოვლინდა.

ასეთ სტილს თვით დრო მოითხოვდა და ბუნებამაც შესაფერისი ხმები აღმოაცენა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენ დღესაც ვიხიბლებით ამ ხმებით, გვწამს იმ ლეგენდარული სპექტაკლების მომსწრეთა აღფრთოვანებისაც, რომელთა ნაწყვეტები სწორედ ფონოგრამების – იმ საოცარ ხმათა ჩანაწერების სახით შემოინახა, მაგრამ, როდესაც ვინმე დღეს მათ განმეორებას – მათი განუმეორებელი კილოს რესტავრირებას ცდილობს – ეს მხოლოდ უსიამო ჟურანტელს ინვევს ჩვენში, როგორც აუტანელი ანაქრონიზმი.

საბედნიეროდ, ეპიგონთა წრე სულ უფრო ვიწროვდება.

სამაგიეროდ, ქართულ სცენაზე თავს იჩენს მეორე უკიდურესობა.

რეალისტურმა მიმდინარეობამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ქართველი აქტიორების მეტყველებაში ძირეული გარდაქმნები გამოიწვია.

რა თქმა უნდა, ესეც დროთა ნიშანია და, ვინც კი ამის წინააღმდეგ ამხედრებულა ოდესმე, მისი დამარცხება დროის მიერვე იყო გაპირობებული.

რეალიზმი დღევანდელ თეატრში ის ძალაა, რომელსაც ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს. ოღონდ, ჯერ ერთი, არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ რეალიზმის ცნება ჩვენს დროში უაღრესად გამდიდრდა და გაფართოვდა, ხოლო მეორე კი ის, რომ ახალ ამპლუაში ჩაყენებული ქართველი მსახიობი ფსიქოლოგიურად ნაწილობრივ მოუშზადებელი აღმოჩნდა თავისი ახალი მონოდების განსახორციელებლად.

რეალისტური მეტყველების კულტურა მან მხოლოდ ნაწილობრივ შეითვისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ისიც იყო, რომ აქტიორულ ძალებს ჩვენში არ გაუვლიათ ის დიდი სკოლა მართალი, ბუნებრივი მეტყველებისა, რომელიც თავის დროს გაიარა, ვთქვათ „მხატ“-ის დასმა, ან, მაგალითად, შექსპირის ცნობილმა თეატრმა ლონდონში (მკიხველის ერთ ნაწილს შესაძლებლობა ჰქონდა თვალნათლივ დარწმუნებულიყო ამაში ამ თეატრის მოსკოვური გასტროლების დროს).

ასე თუ ისე რეალისტური მანერა (გარდა ცალკული ბედნიერი გამონაკლისისა) ორგანულად ვერ დამკვიდრდა საქართველოში.

მის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ ზერელე, ხელოვნური ბუნებრიობა, რომელიც ზოგჯერ უფრო მწარედ გვჭრის ყურს, ვიდრე ყველაზე აშკარა პირობითობა.

ზემოხსენებულ ბედნიერ გამონაკლისთა შორის, სანიმუშოდ დავასახელებ „სამანიშვილის დედინაცვალს“ (რუსთაველის თეატრის სცენაზე). მეტყველების პირობითობა აქ სავსებით გაუქმებულია და ზედმინევენით დერომანტიზებულ, „ადამიანურ“, სასაუბრო მანერას უთმობს ადგილს. მაგრამ საგულისხმოა, რომ ჩვენ აქ რამედნიმე განსაკუთრებულ გარემოებასთან გვაქვს საქმე: პირველი: სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარსულ ყოფას და მეტყველების ასევე ძველ (ნაწილობრივ დიალექტურ) ფორმებს ეყრდნობა. მეორე: რუსთაველელთა ამ ბრწყინვალე ინსცენირებას საფუძვლად უდევს ერთი მხრივ, ქართული რეალიზმის სრულყოფილი ნაწარმოები (დ.კდიაშვილის მოთხრობა), ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული ყოფისა და შესაბამისი ფორმების ათვისების საკმაოდ მდიდარი ტრადიცია ქართველ სცენაზე.

ჩვენი საუბრის მთავარი საგანი კი თანამდროვე ქართველი კაცის ფსიქოლოგიის, ზნეობის, გონებრივი და სულიერი განვითარების ამსახველი სამეტყველო ფორმაა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა მხოლოდ „ამსახველი“, არამედ მისი შინაგანი პოტენციის გამომხატველი, ამ რეალური, თუ სასურველი პოტენციის ღირსეულად გამომხეურებისათვის საკადრისი ფორმა. სამწუხაროდ, იქ, სადაც რეალისტური მეტყველება საკუთრივ დღევანდელი სინამდვილის ასახვას ემსახურება (და ამდენად მოკლებულია მყარ ტრადიციას), „ხელოვნური ბუნებრიობა“ მისი თითქმის მუდმივი თანამგზავრია.

სანიმუშოდ ამჯერადაც რუსთაველის თეატრის სპექტაკლს მივმართავ, კერძოდ, მისი ძალებით ახლახან განსახიერებულ სატელევიზიო წარმოდგენას მართლმსაჯულების დღევანდელ მსახურთა ცხოვრებიდან.

ამ სპექტაკლში, ჩემი აზრით, მოხსნილია ცრურეალისტური მეტყველების ყველა უწინდელი რეკორდი (სამწუხაროდ, ისეთი ხალასი სცენური მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდა მსახიობი ქალის მიერაც, რომლის ამ ყოფაში ჩაგდება დიდ ცოდვად ჩაეთვლება სპექტაკლის ავტორებს).

მაინც საკითხის არსი ცალკეული, თუნდაც „სანიმუშო“ მაგალითებით ვერ აიხსნება, მისი გააზრება უფრო ფართო თვალთახედვას მოითხოვს.

ფსევდომეტყველების ამ ახალი ნაირსახეობის მიზეზი ზოგჯერ უბრალოდ ისაა, რომ მსახიობი ჩაყენებულია ყალბ მდგომარეობაში – ან თვით ტექსტია ყალბი, ან სიტუაცია, რომელშიც დიალოგი მიმდინარეობს.

ხდება ასეთი უცნაურობაც: მაყურებელს სცენიდან ესმის ზუსტად ის ხმები და სიტყვები, ზუსტად ის ინტონაციები, რომელიც მას დღისით ესმოდა თავის გარშემო ქუჩაში, სამსახურში, ოჯახში თუ საწარმოო კრებაზე და მაინც ის უკმაყოფილო რჩება, რადც უკმარობის, შინაგანი უნდობლობის გრძნობა იპყრობს. რატომ?

ჩემი ფიქრით, იმის გამო, რომ ეს თავისავე „მართალი“ მეტყველება არ არის ატანილი დიდი მხატვრული სიმართლის სიმაღლემდე.

ვინაიდან ეს მხოლოდ ასლია სინამდვილისა და არა ის ახალი, თივსობრივად უფრო მაღალი სინამდვილე, რომელიც ხელოვნებამ უნდა შექმნას.

ხელოვნებისმცოდნეობის ენაზე ამას ენორივი ნატურალიზმი ჰქვია. ნატურალიზმის ცალკეული გამოვლინებები გამართლებული იყო ახალი ქართული თეატრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც დრომოჭმული პირობითობის ანტითეზა. მისი ცალკეული ელემენტები ნაწილობრივ გამართლებულია დღესაც, მაგალითად, გროტესკული სტილის სპექტაკლებში, მაგრამ მთლიანად ნატურალიზმი თეატრის, საერთოდ ხელოვნების, მომწესხველი ძალაა. უფრო მეტიც, თანამედროვე სამყაროში ის ნარმოგვიდგება როგორც ანტიკულტურული, ესთეტიკური წინსვლის შემაფერხებელი ტენდენცია.

აი, ერთი იმ სიძნელეთაგანი, რომელიც ქართულ თეატრს 1972-73 წწ. სეზონშიც დაუძლეველი დარჩა და რომლის საბოლოო დაძლევასაც, ჩემი აზრით, კიდევ არაერთი წელიწადი დასჭირდება.

ვჩქარობ აღვნიშნო მიღწევებიც: თეატრალური რეცენზენტების მიერ გამორჩეული რამდენიმე სპექტაკლი, სასიხარულო გამარჯვება საარ-ბრიუკენში, ახალი თეატრალური კერის აღმოცენება მეტეხის ახალგაზრდული ექსპერიმენტული სტუდიის სახით, საინტერესო (თუმცა ჯერ კიდევ აშკარად არასრულყოფილი) ცდები დამოუკიდებელი ტელეთეატრის შექმნისა...

მთავარი კი მაინც ის არის, რომ გასულ სეზონში ჩვენ ცხადად დავინახეთ თეატრისადმი საზოგადოებრივი ყურადღების თავსებური აღორძინების ნიშნები.

მოპოვებულია ფსიქოლოგიური მიჯნა, რომლიდანაც უკან დახევა არამც და არამც არ გვეპატიება.

სხვათა შრის, ამ ახლებურად გაღვივებული ინტერესის ერთ-ერთი ნიშანია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ამჟამად მიმდინარე დისკუსია თეატრის გარშემო, აგრეთვე ის პირველი სპეციალური ტელეგადაცემაც „თეატრალური შეხვედრების“ სერიიდან, რომელიც ორივე თვის წინ განხორციელდა.

პირველი ქართული „თეატრალური საღამო“ გამამხნეველები წარმატებით ჩატარდა.

მოხდა თავისებური შეხმიანება სხვადასხვა თეატრალურ კოლექტივებს შორის უფართოესი აუდიტორიის წინაშე – თავისებური აზრთა გაცვლა-გამოცვლს ცდა. ამ ცდაში არაპროფესიონალებიც გარიეს, კერძოდ, მეც მხვდა წილად ასეთი პატივი და ეს წერილიც იმ აზრების გაგრძელებაა, მაშინ რომ ვცადეთ ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა.

მთავარი ამ საერთო ფიქრებში იყო მათი სინრფელე – სურვილი პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვეთქვა ქართული სასცენო ხელოვნების ამჟამინდელი მდგომარეობისა და მისი რეალური პერსპექტივების შესახებ.

მოდით, პირდაპირ შევხედოთ რეალობას. თეატრს წაართვეს აუდიტორია, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი. თეატრს წაართვეს ნაწილობრივ ის ფუნქცაც, რომელსაც ის რამდენიმე საუკუნის მანძილზე ერთპიროვნულად ასრულებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას წაართვეს მონოპოლია ამ ფუნქციის შესრულებისა.

თეატრი ჩაყენებულია ისეთ პირობებში, როდესაც მას უხდება სამკვრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისთვის.

ეს არის თავისებური კრიტიკული წერტილი თეატრის ისტორიაში.

მაგრამ, მე მგონი, პარადოქსად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ეს მდგომარეობა მაძლევს მე – ქართული თეატრის მაყურებელს და მოყვარულს – ერთგვარი ოპტიზმის საფუძველსაც.

ცხოვრების ერთი, სულ უბრალო კანონის გამო.

ეს კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი სწორედ მაშინ ახდენს თავისი შინაგანი ძალების სრულ მობილიზებას, სწორედ მაშინ ვლინდება თავისი შესაძლებლობების სრული სისავსით, როდესაც მის არსებობას რაიმე ნამდვილად მნიშვნელოვანი საშიშროება ემუქრება.

როგორც ხედავთ, ოპტიზმიზმი, რომელსაც მე ვგულისხმობ, თავისთავად გამორიცხავს დამშვიდების საფუძველს. მისი ერთადერთი პირობა გამუდმებული,

ხმალშეუხსნელი ბრძოლაა, მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ დარბაზში ყოველთვის ზის მინიმუმ ერთი უღმობელი მაყურებელი, რომელიც ყველაფერს ამჩნევს და არც ერთი ცრუ, ან გაიოლებული მოძრაობა არ ეპარება მხედველობიდან.

აი ერთი მაგალითი:

როდესაც, ამასწინათ, რამაზ ჩხიკვაძის უკნასკნელი ნამუშევარი ვნახე, მთავარი ჩემი მოთხოვნა იყო, როგორ გამოვხმაურებოდი მას სპექტაკლის შემდეგ. მენახა, ან მისი ხმა მაინც გამეგონა, არა მხოლოდ იმისთვის, რომ მიმელოცა. არამედ იმაში დასარწმუნებლადაც, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან ჩვენს თვალწინ მოიმოქმედა, უკიდურესი სულიერ იდა ფიზიკური დაძაბვის ხარჯზე, ყოველივე ამის შემდეგ, მან მაინც შეძლო საკუთარი ძალების აღდგენა.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ნამდვილი გმირობა – თავისი საქმისადმი, თავისი აქტიორული პრინციპისადმი ერთგულებით შესრულებული ნამდვილი მონამებრივი აქტი.

ჩემთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი სკოლის მსახიობია რამაზ ჩხიკვაძე, მართლა განიცდის ის სცენაზე, თუ მხოლოდ ვირტუოზულად ასრულებს აქტიორულ ამოცანას.

ცხადია, მის მიერ განსახიერებული ყვარყვარე ერთადერთი შესაძლო წაკითხვა არ არის ამ როლისა.

სიმონ ჩიქოვანს უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილ ლექსში აქვს ასეთი სტრიქონები:

„მე შენ გინოდებ სცენის ჯადოქარს
– ძმაო, ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე,
ბავშვო ურიელ...“

რა მოულოდნელი ეპითეტებია, არა?! „ბრძენო“ კანონით თითქოს გუცკოვის გმირს უფრო ეკუთვნის, „ბავშვიც“ დანიის ტახტის მემკვიდრის ასაკს უფრო შეეფერება. ეს საერთოდ პოეტის თვისებაა: დაინახოს მოვლენაში, ხასიათში ის, რაც სხვებმა ვერ შეამჩნიეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ლექსის ადრესატიც სწორედ ასე ძერწავდა თავის გმირებს.

პოლიკარპე კაკაბაძის პერსონაჟი მრავალგანზომილებიან სცენურ სახეთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ამ მართლაც ეპოქალურ ტიპს აქვს ცოცხალი ადამიანის სხვადასხვა თვისებები. ის არა მხოლოდ გაიძვერა და თაღლითია, არამედ „ბრძენიც“, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით. თავისი ფოლკლორული პროტოტიპის (ნაცარქექიას) მსგავსად, „ისიც უკანა ჭკუითაა“ ძლიერი. ამაშია მისი ერთგვარი მომხიბვლელობის საიდუმლოც. ყველა ჯურის მიამიტი მოაზროვნებისგან, სიმართლის მაძიებლებისგან, იდეალისტებისგან განსხვავებით, მან იცის მთავარი: როგორ მოექცეს ბრბოს, როგორ მოისყიდოს ან მოთანგოს იგი. მას რომ ეს „სიბრძნე“ არ გააჩნდეს, ესოდენ საშიშიც არ იქნებოდა ჩვენთვის.

რ.ჩხიკვაძის მიერ შექმნილი სახე ერთგანზომილებიანია. ჩვეულებრივი გაგებით ეს სახეც კი არ არის. ჩვენს წინაა ნიღაბი, სიმბოლო და არა ცოცხალი პიროვნება. ის არა მხოლოდ უგნურთა ხელმწიფის, არამედ თვით უგნურების, სირეგვის, უხამსობის სიმობლოა და მაინც ეს ნიღაბი ქართულ თეატრში შექმნილ ბევრ ცოცხალ სახეზე უფრო მკაფოდ და ოსტატურად მეტყველებს. მაგრამ მთავარი, რაც დღეს რ.ჩხიკვაძის ნამუშევარში მინდა აღვნიშნო, არც ეს არის.

მთავარი და უმნიშვნელოვანესია ის, რომ აქ ჩვენ ვხედავთ მაქსიმუმს – ხელოვანის სულიერი (და, რაც ასევე ანგარიშგასაწევია, ფიზიკური) ძალების სრულ დაძაბვას, სრულ თვითგაგებას, აქტიორული თავდებების აღმაფრთოვანებელ მაგალითს.

ასევე მუშაობენ დღეს ქართულ სცენაზე ზოგიერთი სხვა ქართველი აქტიორებიც.

ეს არის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საწინდარი ჩვენი თეატრის ახალი აღორძინებისა (თუ მე მხოლოდ ერთ ნიმუშს მივმართე, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უკანასკნლია ამ მაგალითთა რიგში).

* * *

ნამდვილი მაყურებელი თეატრის კარებს აღებს ისე, როგორც წინათ მორწმუნენი ტაძარში შედიოდნენ.

ეს უკვე ბანალური ფრაზაა. მაგრამ ჩვენ ზოგჯერ გვავინწყდება ამ გაცვეთილი ფრაზის დედააზრი, სახელდობრ ის, რომ მთავარი გრძნობა, რომელსაც ჩვენ თეატრში მივყავართ – ეს არის სასწაულის მოლოდინი.

დღევანდელ თეატრს არ შეუძლია სასწაულის გარეშე ცხოვრება, იმის გამოც, რომ მისი გამარჯვება ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მხოლოდ სასწაულმოქმედების, ნამდვილი ჯადოსნობის მეოხებით შეიძლება. სხვა გზა უბრალოდ არ არის.

დავუბრუნდეთ რეალობას, კერძოდ ჩვენთვის, თეატრის გულშემატკივრებისთვის ხელმისაწვდომ რეალურ საშუალებებს.

დღევანდელ თეატრს განსაკუთრებით (ისე როგორც არასდროს) სჭირდება რეკლამა – არა მხოლოდ ყოველი პრემიერის, არამედ ყოველი ახალი წარმოდგენის წინ. უნდა გვახსოვდეს, რომ თეატრში არ არსებობს რიგითი წარმოდგენა (როგორც, ვთქვათ, მორიგი სენსი ან ტელეპროგრამის მორიგი გადაცემა), ყოველი სპექტაკლი გარკვეული თვალსაზრისით ხელოვნების თავისთავადი ნაწარმოებია.

მაყურებელი თეატრში უნდა მიდოდეს არა დასასვენებლად, არა გასართობად ან, ვთქვათ, თავისი მოქალაქეობრივი ან პატრიოტული ვალის მოსახდელად, არამედ იმ შეგრძნებით, იმ წინათგრძნობით, რომ თუ ის დღეს თეატრში არ მივიდა, რაღაც უალრესად საინტერესოს დააკლდება, რაღაცას დაკარგავს, რაღაცას ჩამორჩება, გაღარიბდება, რომ ეს გაცდენა თეთრ ლაქად დარჩება მის ბიოგრაფიაში.

აი, ასეთი განწყობილება უნდა შევქმნათ თეატრის გარშემო.

მაგრამ მარტო რეკლამა, ცხადია, საქმეს ვერ უშველის, ვინაიდან ყველაზე საშინელ ურწმუნოებას გაცრუებული მოლოდინი ბადებს.

ჩვენ ყველან იფიქრობთ თეატრის ბედზე, ვეძებთ გამოსავალს, ახალ გზებს... ნება მომეცით, ერთი აზრი გაგიზიაროთ.

ხელოვნების ყოველ სახეობაში მთავარია ის, რასაც ეს კონკრეტული სახეობა სხვა სახეობებისგან განსხვავებით (ან სხვა სახეობებთან შედარებით) ყველაზე სრულყოფილად ფლობს.

კინომ და ტელევიზიამ შეზღუდეს თეატრის სამფლობელო. აქ ნამდვილ ექსპანსიას ჰქონდა ადგილი.

ამ ულტრათანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულ მეტოქეებთან შერკინებისას თეატრი ხშირად მშვენიერ, უნაკლოდ გაწვრთნილ, თავისი ღირსების შეგნებით შთაგონებულ, მაგრამ ძველ, შუასაუკუნებრივ მუზარადში გამოწყობილ ცეროდენა მხედრად გამოიყურება.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თეატრის გადაიარაღება წარმოებს. ათასი ხერხია ნაცადი ამ მიმართულებით, ათასი ექსპერიმენტი. მომავალშიც ალბათ ბევრი საშუალება გამოინახება. მაგრამ მთავარი იარაღი, რომელიც თეატრს დარჩა და რომელსაც მას ჯერჯერობით ვერავინ შეეცილება. მთავარი, მისი „მტრებისთვის“ ჯერჯერობით მიუწვდომელი უპირატესობა მაინც ის არის, რომ მხოლოდ ერთს შეუძლია უშუალო, ცოცხალი, შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან. არა მხოლოდ კინო ან ტელეეკრანისგან, არამედ წიგნისგან, ფერწერული ტილოსგან, ქანდაკებისგან განსხვავებით, მხოლოდ

სცენას ძალუძს მაყურებელი, რომელიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ მომხმარებელია ხელოვნების პროდუქტისა, ჩააყენოს ბევრად უფრო საპატიო და აქტიურ როლში – შემოქმედების პროცესის თანამონაწილედ აქციოს იგი.

გავიხსენოთ, რა ტიტანური შრომაა დახარჯული XX საუკუნეში ამ მიმართულებით (მაშინაც კი, როცა კინო ხელოვნებად არ ითვლებოდა, ხოლო ტელეხედვას ფანტასტიკის სფეროდ თვლიდნენ).

ყველაზე მარტივი ხერხი ამისა აქტიორების დარბაზში ჩასვლა ან, პირიქით, მაყურებელთა სცენაზე მიწვევა იყო, მარტივი, როგორც ყველა გენიალური აღმოჩენა. მაგრამ სცენასა და დარბაზს შორის ბარიერის მოშლა სხვა, არსებითად უთვალავი საშუალებითაც შეიძლება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორის ნიჭს, ფანტაზიას, გამომგონებლობას, ოსტატობას. მთავარია მაყურებელი თეატრში მიდიოდეს იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, იმ ნყურვილის მოსაკლავად, რომელსაც მას ვერც ე.წ. „ცისფერი ცეცხლი“ და ვერც ყველაზე ფართოფორმატიანი კინოეკრანი ვერ დაუკმაყოფილებს.

ვაქციოთ ქართული თეატრი თანამედროვე მაყურებლის მხატვრული ალღოს, მისი შემოქმედებითი პოტენციის მაქსიმალური გაღვივების კერად. გადავდოთ დარბაზს ის თრთოლვა, ის მაგნეტიზმი, რომელიც უკანვე დაუბრუნდება სცენას, რათა ახალ, ყოვლისშემძლე ენერგიად გადაიქცეს. უკიდურესად, უაღრესობამდე დავჭიმოთ ყველა სიმი, რომელიც მათ შორისაა გაბმული!

როგორც არასდროს, ისე სჭირდება დღევანდელ საქართველოს ერთსულოვნება, თანამზრახველობა, თანადგომა და ქართული თეატრი თავისი მონოდებით, თავისი დღევანდელი რეალური შესაძლებლობებით სწორედ ასეთი სულიერი ერთობის სანიმუშო კერად შეიძლება იქცეს.

იყო დრო, როცა თაყვანსმცემლებს სპექტაკლის შემდეგ ხელებში ატაცებულნი გამოჰყავდათ კულისებიდან თავიანთი საყვარელი მსახიობები. მერე მათი ეტლებიდან ცხენებს გამოხსნიდნენ ხოლმე და თვითონ შეებმებოდნენ. ეს დრო ლეგენდათა რკალს ჩაბარდა.

ჩვენ გვინდა, რომ ხვალ სპექტაკლის ავტორები და მაყურებლები ისე გამოდიოდნენ დარბაზიდან, როგორც თანამოდმენი, თანამესაიდუმლენი, რომ მათ თეატრიდან შინ მიჰყვებოდეს ამ შენობაში რამდენიმე წუთის წინ პრაქტიკულად განხორციელებული და ამის გამო საერთოდ შესაძლებელი სასწაულის განცდა – ამ ყველა ჩვენგანისთვის საოცნებო ერთსულოვნების რწმენა და იმედი.

აი, რა „უბრალო“ რამეს მოვითხოვთ და მოველით ჩვენ ქართული თეატრის მომავალი – 1974-1975 წწ. სეზონისგან.

1974 წ.